თის რუსე სოციალდემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით

შაბათი, 20 მაისი 1917 წ.

ერთობა

ფასი 7 კაპ.

„თანამედროვე აზრის გაზრძელ

გაზეთი ღირს: მთელი წლით—15 მ., ნახევარი წლით—8 მან., 3 თვით 4 მან. 20 კ., 1 თვით—1 მ. 40 კ., ცალკე ნომერი ყველგან 7 კაპ. და საზღვარგარეთ ორჯელ მეტი. განცხადების ფასი: პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი—30 კაპ. მეოთხე გვერდზე—15 კაპ.; სამგლოვიარო განცხადება ორ საათამდე 5 მანეთი ხოლო ორის შემდეგ—6 მანეთი. ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალა რედაქცია არ ინახავს ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს

ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ почт. ящ. 199. Власію Малакіевичу Бохохадзе. სხვა ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.

რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 ს-დე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პრ. № 12. (Тифлисъ Головинскій пр. № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 51 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალდემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა. № 51

ამხანაგებო! შეგვაძენიეთ პარტიული სტამბა. პარტიას უნდა ქონდეს საკუთარი სტამბა.

ჩოჩხათის საზოგადოების (გურია) სარაიონო კომიტეტი აცხადებს, რომ

ეგნატე ნინოშვილის

გარდაცვალებიდან ოცდასამი წლის შესრულების აღსანიშნავად, კვირას, მაისის 21, ეგნატეს სამშობლო სოფელ ჩანჩეთში (სად. ჯუმათთან) ეგნატეს საფლავზე მოხდება პატივსაცემი ყრილობა, რომლის დროსაც გადახდილ იქნება სამოქალაქო პანაშვიდი და გაიხსნება ეგნატეს სახელობის სამკითხველო.

ამისათვის ხსენებული კომიტეტი მოუწოდებს, როგორც გურიის, აგრეთვე სხვა ადგილების კომიტეტებსა და საზოგადოებათ, თავისი წარმომადგენლები გამოგზავნონ და პატივი სცენ მათთვის ტანჯულ ადამიანს.

გულ დაწყვეტილი მეუღლე სოფიო ნესტორის ასული და მისი ბიძაშვილი პელაგია ფარსადანის ასული ალავიძისა, აგრეთვე განსვენებულის თანამოსამსახურე მუშები თფ. ქ. ელექტ. სადგურისა აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ

პარმენ ივანეს ძე ჯანგიძის

გარდაცვალებიდან 40 დღის პანაშვიდი დანიშნულია კვირას, 20 მაის, დღისით 12 საათზე წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში. 2—1

ღრმეს მწუხარებაში მყოფნი მშობლები ნოე და ბაბინე; ძმები: ლეონიდე, ილია, ერეთეოზ, დავით პოლიაკტორ; დები: გულიჩქა და თამარა: ბაბუა მღ. გრიგოლ და ბებია მაკრინა სიხარულიძეები აუწყებენ ყველა მის ამხანაგ მეგობრებს და ნათესავებს, რომ მცირედი ავათმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა პეტროგრადის გორნი ინსტიტუტის მეოთხე კურსის სტუდენტი

გრიგორი ნოეს ძე სიხარულიძე

რომლის დაკრძალვა მოხდება შაბათს, 20 მაისს, დილის ათ საათზე ს. ამაღლებაში (გურია).

თეატრი ავლაბარი პალასი.

შაბათს, 20 მაისს, 1917 წ. ქართველ ძველი სცენის მოყვარეთა მიერ წარმოდგენილი იქნება მესამეთ თანამედროვე პიესა

შურის ძიება

დრამა 5 მოქ. 7 სურ. გ. ვ. გიგოშვილისა.

ბილეთები იყიდება ყოველ დღე თეატრის კასაში. გამგე ვ. ყანგაურელი.

მოქალაქენო

სახლის პატრონებო და ბინის დამქირავებლებო!

ქ. თფ. აღმასრულებელ კომიტეტთან დაარსებული საბინო საბჭო ამით აცხადებს:

1) კვირას, ამა წლის 21 მაისს, შუადღის 12 ს. გაიმართება ქალაქის ყველა უბანში კრება სახლის პატრონებისა ოთხ წარმომადგენლის ასარჩევათ საუბნო საბინო კომიტეტებისთვის. 1 უბანში მე-6 სავაჟო გიმნაზიაში, 2 უბანში, თფილისის კრუჟოკში (ზამთ. შენობა) 3 უბანში, მე-3 ქალთა გიმნაზიაში, 4 უბანში მე-3 ვაჟთა გიმნაზიაში, 5 უბანში, ქალაქის სახელოსნო სკოლაში, 6 უბანში საუბნო კომისარიატში, 7 უბანში, მე-5 ვაჟთა გიმნაზიაში 8 უბანში, 1-ლ საკომერციო სასწავლებელში, 9 უბანში, მე-4 ვაჟთა გიმნაზიაში, 11 უბანში, „ნაძალადევში“, 12 უბანში რკინის გზის სავაჟო სასწავლებელში, შერემეტიევის ქ.

2 ორშაბათს 22 ამა მაისს იმავე უბნებში და იმავე შენობებში, ზედმეტად კიდევ მე-10 უბანში (რეალურ სასწავლებლის შენობაში)—ბინის დამქირავებელთა კრება გაიმართება ზემოხსენებულ კომიტეტებისთვის ოთხ-ოთხ წარმომადგენელთა ასარჩევად.

მოქალაქეებს სთხოვენ ამ კრებაზე უსათუოდ გამოცხადდენ, რაგან იგი კანონიერათ ჩაითვლება, რამდენიც უნდა გამოცხადდეს.

ბინის საკითხის მომწესრიგებელი საბჭო, არსებული თფილისის აღმასრულებელ კომიტეტთან. 2—2

მე-2 უბნის სასურსათო კომიტეტი ქ. თფილისში.

მოწოდება.

მოქალაქენო! მეორე უბნის სასურსათო კომიტეტი უკვე შესდგა. დარწმუნებული ღრმათ რომ თქვენ გრწამთ დროებითი მთავრობის პრინციპები—„ხალხმა თვითონვე უნდა აკეთოს თავის საქმე“, მოგიწოდებთ დაგვეხმაროთ ახალ სასურსათო ორგანიზაციის შექმნა გამტკიცებაში, აღმოგვიჩინოთ ყოველ მხრივ დახმარება პირველ მოთხოვნის საგნების, როგორც მომხმარებელთა შორის წილის გამორკვევაში, ისე ამ საგნების მათ შორის სამართლიანათ განაწილებაში.

მოქალაქენო! თქვენი შეუმჩნეველი არაფერი დარჩება, ამიტომ ყოველივე ბოროტ მოქმედებაზე, სავალდებულო დადგენილების დარღვევაზე: როგორიც არის ნიხრის დარღვევა, სურსათის გადამალვა, სპეკულიაცია, უსუფთაობა და სხვა თქვენ მიერ შეკრებილი ამაზე გარკვეული ცნობები მყისვე უნდა იქნეს საუბნო სასურსათო კომიტეტში გადაცემული.

ყოველივე უწესოება სასურსათო ნიადაგზე, შეაჩერებს დაწყებულ დიდებულ საქმეს რუსეთის რევოლიუციის და თავისუფლების დამყარებას.

თქვენ კი მოქალაქენო-მოვაჭრენო, თქვენი ვალია ამ მძიმე დროს დაეხმაროთ მცხოვრებლებს პირველ მოთხოვნილების საგნების გაიაფებით და ყოველივე სავალდებულო დადგენილების და ნიხრის წმინდათ დაცვით.

მოქალაქენო! ვისაც სურვილი გაქვთ თქვენი შრომით, დახმარება აღმოუჩინოთ სასურსათო კომიტეტს, მობრძანდით ჩასაწერათ კომიტეტის კანტორაში ჭავჭავაძის ქ. № 9. დილის ს.—1 საათ.

2—1 კომიტ. თავმჯდომარე ზ. ბიჭაშვილი, თავმჯ. ამხ. ტიშკოვი კრავეც.

რ. ს.-დ. მ. პ. თფილისის კომიტეტის ბიურო აცხადებს, რომ უფასოთ და ფასდადებით წიგნები არავის გაეგზავნება

რ. ს.-დ. მ. პ. ჭიათურის კომიტეტი

სთხოვს წევრთ დააჩქარონ აპრილის და მაისის საწევრო გადასახადის შემოტანა.

კომიტეტი მოთავსებულია ვაგზლის ახლოს, მუშათა საბჭოს ყოფილ ბინაზე, ღიაა: დილ 10—1 საათ., საღამოს 4—7 საათ.

კვირას, 21 მაისს რეალურ სასწავლებელში მეორე სახელმწიფო დუმის წევრი, აგრეთვე წევრი პეტროგრადის მუშათა და ჯარის კაცთა საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტისა ა. გ. ზურაბოვი წაიკითხავს ლექციას შემდეგ თემაზე:

სამინისტროს კრიზისი და დემოკრატიის უახლოესი მიზნები

ლექცია დაიწყება საღამოს 8 საათზე.

ბილეთები იყიდება სასახლეში პროპაგანდისტთა კოლეგიის ბიუროში.

შაბათს, 20 მაისს მესამე ქალთა გიმნაზიის შენობაში შესდგება ლექცია ხმირნოვისა. თემა:

აგრარული საკითხი.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე. ბილეთები 1 მ. 50 კ.,—50 კ. იყიდება პროპაგანდისტთა კოლეგიის ბიუროში (სასახლეში) ლექციის, დღეს საღამოს 6 საათ, თვით გიმნაზიაში.

21 მაისს სახელოსნო უპრავაში დილის 10 საათზე დანიშნულია

გოჭკის მოხელეთა (გონდრების) კრება,

ვთხოვთ ყველა ამხანაგებს, როგორც მუშებს, ისე ოსტატებს კრებას უეჭველათ დაესწრონ.

კვირას, 21 მაისს ნაშუადღევის სამ საათზე ხელოსანთა გამგეობის შენობაში დანიშნულია

კრება მხატვარ-მღებავთა

პროფესიონალურ კავშირისა მუშათა საბჭოში დელეგატების ასარჩევათ. ვსთხოვთ ამხანაგებს დაესწრონ.



ხელი მოაწერეთ თავისუფლების სესხს!

სოციალ-დემოკრატიული გამოცემა.

საოლქო და თფ. კომიტეტებმა მოაწყვეს სოც.-დემოკრატიული წიგნაკებისა და ბროშურების გამოცემა რუსულსა და ადგილ. ენებზე. იცემა წიგნები თანამედროვე საკითხების შესახებ. ამ ჟამათ მზათაა გასაყიდათ „პარტიის პროგრამა“, ყველა ენებზე: „კრიტიკა აგრარული პროგრამისა“, მასლოვისა, ფასი 15 კ; „საყოველთაო საარჩევნო უფლების შესახებ“, ფ. 15 კ.; „რას იძლევა დემოკრატიული რესპუბლიკა“, ფ. 7 კ.; სამი უკანასკნელი ბროშურა რუსულ ენაზეა. იბეჭდება და ამ დღეებში მზათ იქნება: „ძირს სოციალ-დემოკრატია“ ბრაკესი, რუსულ ენაზე; „კომუნისტური მანიფესტი“ და „ოთხი ძმა“ ქართულ ენაზე. მალე დაიბეჭდება: „დემოკრატიული რესპუბლიკა“ და „48 წლის რევოლიუცია საფრანგეთში“, ქართულ ენაზე.

გარდა ამისა საწყობში მოიპოვება ძველი გამოცემული: „ძირს სოციალ-დემოკრატია“ ბრაკესი, „პროგრამები პოლიტიკური პარტიებისა“, „ანარქიზმი და მუშათა კლასი“, „ისტორიული მატერიალიზმი“, ნ. რამიშვილისა და სხვა ქართულ ენაზე. ნისიათ წიგნები არავის გაეგზავნება.

თფილისის ორგანიზაციის მესამე რაიონის კოლექტივის ბიურო რ. ს. დ. მ. პ. მოთავსებულია ავლაბრის კლუბში (კახეთის ქუჩა, № 1). **იქვე მიიღებიან წევრები დილის 10—12 საათამდე, საღამოს 4—7 საათ.**

თფილისის მკერვალთა და მექუდეთა პროფესიონალური კავშირის გამგეობა იმყოფება პეტრე დიდის ქუჩაზე № 18. გამგეობა ღიაა ყოველ დღით საღამოს რვის ნახევრიდან ათის ნახევრამდე, კვირაობით დილის 10-დან პირველ საათამდე.

კავშირის გამგეობა.

მემარჯვენეთა ცენტრი.

რუსეთის რევოლიუციურ მოძრაობაში ყველას თვალწინ უდგას მუშათა და სალდათთა საბჭოები, რომელნიც რევოლიუციის მთავარ ძარღვს დემოკრატიას ამოძრავებენ. მათ გარშემო ტრიალებს პოლიტიკური აზრი და რევოლიუციური ენერგია.

ის, რაც მათ გარეშე ხდება, თითქმის სრულიად უყურადღებოდ არის დატოვებული. ბევრი რამ კი აქედან მნიშვნელობას მოკლებული არაა. ასეთია პირველ ყოვლისა, წარსული რეჟიმის ნაანდერძევი სახელმწიფო დუმა, ეს ცენზიანი დაწესებულება რევოლიუციის პირველ დღეებში ერთი წუთით მოძრაობის ცენტრში მოექცა. სახ. დუმის დროებითი აღმასრულებელი კომიტეტი შეადგინა და დროებით მთავრობის პირველი შემადგენლობა მოგვცა.

დრ. მთავრობის შედგენის შემდეგ მან ეს კომიტეტი დაშლილათ გამოაცხადა. მარა ფაქტიურათ კი არ განუხორციელებია.

საქმე იმაშია, რომ რევოლიუციამ პირველ დღეებიდანვე სახელმწიფო დუმის მისწრაფება-ლტოლვილებებს გადააბიჯა და დემოკრატიზმის გზით მძლავრათ გაექანა.

აქედან იწყება ამ კომიტეტის და მთელი სახელმწიფო დუმის უმრავლესობის უკან დახევა. ისინი დემოკრატიის ყველა მოთხოვნილებების წინააღმდეგ გამოდიან. განსაკუთრებით საგარეო პოლიტიკაში.

„ომის ბოლომდე დაყვანა“ მათი უმთავრესი ლოზუნგია. და ამის განსახორციელებლათ იღწვიან. ამიტომ შეხვდენ ისინი აღტაცებით მინისტრობიდან გამოცვლილ მილიუკოვს, რომელიც დაუყონებლივ კომიტეტებში მიიღეს.

და აი დღეს, როცა კოალიციური სამინისტრო შედგა და ზავის საკითხი საერთაშორისო ნიადაგზე დააყენა, ეს 3 ივნისის კანონით კანონმდებლებათ გამოცხადებულნი, ძველ მემამულეთა და ბურჟუაზიის ზოგიერთ წრეების წარმომადგენლნი, კიდევ უფრო მჭიდროთ დაირაზმენ.

ყველა ის ჯგუფები, რომელნიც მეოთხე სახელმწიფო დუმაში ეგრეთ წოდებულ „პროგრესიულ ბლოკს“ შეადგენდენ, და ძველ მთავრობას ებუზღუნებოდენ, ახლა დროებით მთავრობის წინააღმდეგ ამოძრავდენ და მის პოლიტიკას წუნსა სდებენ.

რევოლიუციამ მეოთხე დუმის წევრები აქამდე ხელშეუხებელ დეპუტატებათ დასტოვა, თვით დაწესებულება გაუქმებულათ არ გამოუცხადებია და აი ამით გათამამებულნი ისინი დღესაც ხალხის წარმომადგენლების როლში გამოსვლას აპირებენ.

როძიანკოს წინადადებით სახ. დუმის კომიტეტმა დადგენილება მიიღო დეპუტატების კერძო თათბირები მართოს და მიმდინარე პოლიტიკურ კითხვებზე თავის საერთო აზრი გამოიტანოს.

ვის წარმოადგენენ ეს დეპუტატები? ცენზიან კლასებს, მემამულეებს და ბურჟუაზიის იმპერიალისტთა წრეებს. ცხადია მათი აზრიც ამ კლასების აზრი იქნება.. ამ რიგათ სახელმწიფო დუმის სახით სდგება ორგანიზაცია მემარჯვენე ელემენტების, რომელნიც რევოლიუციას იწუნებს, მის რადიკალურ ხასიათს გმობს და ზომიერებისაკენ ეზიდება.

აქ ასე ვთქვათ იქმნება პოლიტიკური ბუდე რეაქციის. აქედან იგზავნება კომისარები რუსეთის ყველა კუთხეებში განსაკუთრებული დირექტივებით და სახელმძღვანელო პრინციპებით.

აქედან გამოდის ლოზუნგები მუშათა და სალდათთა საბჭოების წინააღმდეგ ბრძოლის. აქედან ესხმიან თავს რევოლიუციურ ხალხს რევოლიუციურ ქურქში გახვეული მოძალენი ხალხის სრული თავისუფლებისა.

ოდესღაც „პროგრესიული ბლოკი“ დღეს უკვე კონსერვატიულ ბლოკათ იქცა და წინმსვლელობის ყოველ ნაბიჯს დამღუპველათ სთვლის.

ჩვენი აზრით კი თვით ეს დაწესებულება, ეს უშნო ნაშთი სტოლიპინის შემოქმედების, ეს მახინჯი შვილი 3 ივნისის მახინჯი საარჩევნო სისტემის, არის ზედმეტი და მავნებელი გამათავისუფლებელ მოძრაობისათვის.

მუშათა კლასმა ამას ყურადღება უნდა მიაქციოს და აქედან შესაფერი დასკვნა გამოიყვანოს.

მუნიციპალური მართველობის რეფორმა.

დროებითმა რევოლიუციონურმა მთავრობამ 16 აპრილს ახალი, დროებითი საქალაქო საარჩევნო წეს. გამოსცა, რომლის მიხედვით ქალაქის არჩევნებში მონაწილეობას მიიღებენ ყველა მოქალაქენი, ორივე სქესისა, რომელნიც კი 20 წლის გამხდარან. ამასთან არჩევნებში მონაწილეობას იღებენ გარნიზონის ჯარისკაცები, რომლებიც კი ამა თუ იმ ქალაქში საარჩევნო სიების შედგენის დროს ცხოვრობენ. თითეულ ამათგანს უფლება აქვს

ხმოსანი აირჩიოს და თითონაც არჩეულ იქნას საზოგადოებრივი დაწესებულების სხვადასხვა თანამდებობაზე.

ამ სახით ახალი საარჩევნო კანონი წმინდა დემოკრატიულ ნიადაგზე დგას და ამ გზით თითეულ მოქალაქეს საშუალება ეძლევა საზოგადო საქმეების მართვა-გამგეობაში მონაწილეობა მიიღოს. დავიწყოთ ახალი დროებით წესის საზოგადოთ გარჩევა და შემდეგ მუხლობრივ გარჩევაზე გადავიდეთ.

საარჩევნო წესის პირველი დებულების მიხედვით არჩევნები საყოველთაოა. მაშასადამე ყოველ მოქალაქეს ამიერიდან ეძლევა უფლება არჩევნებში მონაწილეობა მიიღოს. მაშასადამე ცენზიანები და შეძლებული კლასების წარმომადგენელთ, რომლებიც წინეთ საარჩევნო პრივილეგიებით იყო აღჭურვილი, დღეს უბრალო მომაკვდავ პროლეტარს გაუთანასწორდა და თითეულ ამათგანს თანასწორი და ერთი ხმა აქვთ.

აქამდის დიდ კაპიტალისტებს საშუალება ჰქონდათ სხვადასხვა დარგის წარმოების მეოხებით ორი და ხშირათ სამი საარჩევნო ხმა ქონოდათ. იგი არჩევნებში მონაწილეობას იღებდა, როგორც სახლის პატრონი, როგორც პირველი თუ მეორე გილდის მოვაჭრე, მაგრამ ახლა ეს აღარ იქნება.

არჩევნებში მონაწილეობას იღებენ განურჩევლათ სქესისა ოცი წლის ადამიანები. ეს გარემოება მეტათ სამართლიანია და პროლეტარულ კლასებისათვის ხელსაყრელია. პროლეტარი თავისი ეკონომიური და სოციალური მდგომარეობით სამრეწველო და საწარმოვო ასპარეზზე ხშირათ 12—13 წლიდან იწყებს მუშაობას. იგი 20 წლამდის სახალხო ეკონომიას დიდძალ ქონებას მატებს; ოც წლამდის მისი შრომის ნაყოფით ბურჟუაზიული კლასები მდიდრდებიან, მისი შემწეობით ზედმეტი ღირებულებით საზოგადოების ეკონომიური და კულტურული ძალა ვითარდება. ამავე დროს კი ის ასეთ სიმდიდრის განაწილება-გაყოფაში კი მონაწილეობას არ იღებს. მაშასადამე დასრულწლოვანების შემდეგ მას ქალაქის საქმეებში ჩარევის სრული უფლება აქვს, ეკონომიურ თვალსაზრისით ც რომ შევხედოთ საქმეს. ახალი კანონი ამას სამართლიანათ ანგარიშს უწევს.

ქვევით, ქალაქების საბჭოების ხმოსანთა არჩევა პირდაპირ ხდება და არა რწმუნებულების მეოხებით. ამასთან არჩევნები დახურულ ბარათებით სწარმოებს, რასაც ფარული არჩევნები ეწოდება. განსაკუთრებით დიდ მნიშვნელოვანია საიდუმლო არჩევნები დაქირავებულ, ეკონომიურათ დამოკიდებული კლასისათვის. ამით უკანასკნელი სრულიათ აშორებულია ბურჟუაზიის ან და დამქირავებლების ზედგავლენას. ხაზეინს საშუალება არ აქვს გაიგოს, თუ მის წარმოებაში მომუშავენი ვის აძლევენ ხმას და ვის ირჩევენ, რომ შემდეგში მას ადგილიდან დათხოვნით არ გადუხადოს. ამ სახით საიდუმლო საარჩევნო ხმის მიცემით დაქირავებული არჩევნებში პოლიტიკური რწმენისა და შეხედულების მიხედვით იმოქმედებს.

გარდა ამისა, საქალაქო არჩევნებში ახალი წესით შემოღებულია პროპორციონალური საარჩევნო სისტემა. პროპორციონალური საარჩევნო უფლება ერთად-ერთი საშვალებაა, რომლის მეოხებითაც თითეული პოლიტიკური პარტია თითეული ერისა და სარწმუნოების ადამიანი ამა თუ იმ საარჩევნო ტერიტორიაზე არ იქნება მოკლებული წარმომადგენელს, რადგან თითეული მათგანი ქალაქის საბჭოში გაგზავნის წარმომადგენელს, წარმომადგენლების ანუ ხმოსნების რაოდენობა ქალაქის მცხოვრებთა რაოდენობით განისაზღვრება. რაც დიდია ქალაქი იმდენათ მეტი ხმოსნები იქნებიან საბჭოში. ეს ხმოსნები ყველა ჯგუფებს და პარტიებ შორის პროპორციონალურათ განაწილდება. ასეთ არჩევნების დროს თვით პატარა, უმნიშვნელო პოლიტიკური ჯგუფიც კი თავის წარმომადგენელს იყოლიებს. ეს ხდება ასე. თითეული ჯგუფი თავის კანდიდატების სიას ადგენს. მისი მიმდევრები ამ სიას აძლევენ ხმას და თვითეულ პარტიას თუ ეროვნულ ჯგუფს თავის სიიდან იმდენი ხმოსნის გაყვანის უფლება მიეცემა, რამდენიც მას ხმა ამოუვა სხვებთან შედარებით. ვისაც მეტი ხმა ამოუვა, მას მეტი ხმოსნები მიეცემა, ვისაც ნაკლები, მას ხმოსნებიც ნაკლები ეყოლება. მაშასადამე უმრავლესობასაც და უმცირესობასაც ე. ი. ყოველ ჯგუფს თავისი წარმომადგენელი ეყოლება და ამით საშვალება ექნება ხმები არ დაეკარგოს. ასეთია საზოგადოთ ქალაქების ახალი საარჩევნო წესის ძირითადი კანონი.

ფედერალისტების ევოლიუცია ნაციონალურ პროგრამაში.

ფედერალისტების კონფერენცია რომ დასრულდა, ამ პარტიის ორგანო „სახ. ფურც." კმაყოფილებით ამბობდა: პარტიული პროგრამა ისე სამაგალითო გამოდგა, რომ ვერავითარმა დროთა ბრუნვამ მას ვერაფერი დააკლო, არც ერთი საპროგრამო პუნქტი შეცვლას არ საჭიროებსო.

დღეს კონფერენციის რეზოლიუციები უკვე გამოქვეყნდა, და ჩვენ შეძლება გვაქვს შევამოწმოთ, რამდენათ მართალია ფედერალისტთა პარტიის მეხოტბე, რამდენათ მაგარი და შეუცვლელი გამოდგა პარტიული პროგრამა დროთა ბრუნვის წინაშე.

ავიღოთ მთავარი მუხლი პროგრამისა, ის მუხლი, რომლის გულისთვისაც არის დაწერილი მთელი პროგრამა, მუხლი, რომელიც, მართალი რომ ვთქვათ, თვით მათი პროგრამაა, ეს მუხლია ნაციონალური საკითხი. უცვლელი რჩებოდა იგი დროთა ბრუნვაში? ჩვენ ვამბობთ, რომ არა: მან განიცადა დიდი ცვლილება, მე-20 საუკუნის დასაწყისის მდიდარ ცხოვრებამ ფედერალისტების ნაციონალური პროგრამა გვარიანათ შეანჯღრია და ძალიან გამოსცვალა.

როდესაც პროგრამის მამათ-მთავარი—არჩილ ჯორჯაძე—თავის ნაციონალურ პროგრამის საძირკველს ყრიდა, მას უნდოდა საქართველოსაგან ნახევრათ დამოუკიდებელი სახელმწიფო შეექმნა, ისეთი, როგორიც დაახლოვებით, ფინლიანდიაა. ის მაინც ურყეველი იყო მისთვის, რომ საქართველოს ნება უნდა მისცემოდა თავისი ეკონომიური პოლიტიკა ეწარმოებინა. აი რას სწერდა ა. ჯორჯაძე 1902 წელში:

„ჩვენი ეკონომიური პროგრამის დედა აზრი—**საქართველოს ეკონომიური გაერთიანება უნდა იყოს. და ამ გაერთიანება-გაძლიერებისათვის საჭიროა მტკიცე მფარველობითი სისტემის გზას დავადგეთ**". თხზულებანი IV, გვ. 33; ხაზგასმული ავტორისაა.)

გავიდა დრო. პირველი ქარტეხილი, რომელიც გადიტანა საზოგადოებამ და ფედერალისტების პარტიამაც, 1905 წელს მოხდა. ამ ქარტეხილმა პარტიას ფერი საგრძნობლათ აცვლევინა: ცალკე სახელმწიფოზე ოცნება მიატოვებინა და ერთხმათ ფართო ავტონომიის ნიადაგზე გადაიყვანა; 1906 წელში შემუშავებული პარტიული პროგრამა უკვე აღარ იდგას საქართველოსთვის საკუთარ ეკონომიურ პოლიტიკის ნიადაგზე. ცენტრალურ მთავრობის კომპეტენციაში შეტანილია: „საგარეო პოლიტიკა, საზღვაო და სამხედრო საქმე, საბაჟო პოლიტიკა... რკინის გზები და ფოსტა... ყველა დანარჩენი საქმეები აღიარებულ უნდა იქნეს საქართველოს შინაურ საქმედო".

სახალხო ბროშურაში, რომელიც პარტიამ გამოსცა უკანასკნელ კონფერენციის წინ, პარტია ჯერ კიდევ ამ ფართო ავტონომიის ნიადაგზე დგას: ცენტრალურ მთავრობის კომპეტენციათა ფარგალში იქაც შეტანილია: „ჯარი, ფლოტი, გარეშე საქმეები, ფული, ბაჟები", სხვა ნაირად „საქართველოს ეროვნულ ტერიტორიალური ავტონომია დამოუკიდებელია შინაურ საქმეებში".

უკანასკნელმა კონფერენციამ კიდევ უფრო დიდი ნაბიჯი გადადგა დათმობის მხრით: ფართო ავტონომიის საზღვრები მან კიდევ უფრო შეკვეცა, საქართველოს ავტონომიას ჩამოართვა და რუსეთის მთავრობას გადასცა იმისთანა დარგები, რომ ფედერალისტების ნაციონალური პროგრამა ფართო ავტონომიას შორდება და უახლოვდება ვიწრო ავტონომიას, რომელიც ბევრათ აღარ განირჩევა ფართო თვითმართველობისაგან.

დღეს ფედერალისტების დადგენილებით რუსეთის მთავრობის ხელში გადადის არა მარტო ომის და ზავის საგარეო პოლიტიკის, ფულის და ჯარის საკითხები, არა მარტო ბაჟები; მის ხელში გადადის კანონმდებლობა „ვაჭართა და მუშათა უზრუნველმყოფ ღონისძიებათა მინიმუმის შესახებ", მის ხელში გადადის „კანონმდებლობა სამოქალაქო უფლებამოსილებისა, საკუთრებისა და სავაჭრო ურთიერთობათა შესახებ. კანონმდებლობა სისხლის სამართლის საქმეებისათვის", თუმცა განსაზღვრული.

ჩვენ ვხედავთ, რა დიდი მეტამორფოზა განუცდია ფედერალისტების ნაციონალურ პროგრამას დღიდან დაარსებისა ჩვენ დრომდის; ეს ცვლილება მოკლეთ ამნაირ ფორმულით გამოიხატება: ცალკე დამოკიდებული სახელმწიფო—ფართო პოლიტიკური ავტონომია—ვიწრო ავტონომია, უბრალო თვითმართველობასთან მიახლოვებული.

არ ეგონოს მკითხველს, რომ ჩვენ ეს პატარა ისტორიული ექსკურსია ფედერალისტების სამხილებლათ და გულის მოსაფხანათ მოგვყვანინოს. პირიქით, ჩვენ იშვიათი შემთხვევა გვეძლევა აღვნიშნოთ, რომ ფედერალისტები მარტო იმისთვის არ ყოფილან დაბადებული, რომ შემცდარი ნაბიჯები გადადგან.

ერთი რამ კი უნდა ვურჩიოთ ფედერალისტებს: როდესაც ისინი სხვა პარტიების „ევოლიუციაზე" ლაპარაკობენ, ნუ ივიწყებენ თავიანთ საკუთარ ევოლუციასაც პროგრამის ძირითად მუხლებში.

პრესა.

მამულიშვილური „სახალხო ფურცელი" ჩვენ არ გვეშვება, მას თავი აგრარულ საკითხში გამარჯვებულზე გამარჯვებული გონია, რადგან „რუსეთში უძლიერესი პარტია სოციალისტ რევოლიუციონერებისა" მათ პროგრამას იზიარებს. რასაკვირველია სჯობდა ეთქვათ, რომ თვით ისესხეს უკანასკნელებისაგან, ეს უფრო სწორი იქნებოდა. მარა ეს წვრილმანია.

საინტერესოა, როგორ იცავენ ამ ნასესხებს ჩვენი მამულიშვილნი. ამ ორი დღის წინათ ჩვენ აღვნიშნეთ, რომ სოციალიზაცია განუხორციელებელია განსაკუთრებით ჩვენში, რადგან იგი სრულიად უჩვეულოა და თან ისტორიაში მას ფესვები არა აქვს და რომ ამიტომ ამ ზომაში ეთობაირი სიყალბე ისმის. გაზეთს, რა თქმა უნდა, ეს არ მოსდის ჭკუაში. მარა თუ იკითხავთ, რა საბუთით უარყოფს განადგურებას ჩვენს მოსაზრებას?

აი მოვუსმინოთ:

„სოციალიზაცია, თურმე იმიტომ უნდა უკუვაგდოთ, რომ ის „სრულიად უჩვეულო წესია", რომ „ისტორიაში არ აქვს ფესვები". მაგრამ რატომ არ ჰკითხავენ ეს გულუბრყვილო ადამიანები თავის თავსა: განა 8 საათის სამუშაო დღე ჩვეული წესია, ან თვით იმ თანასწორობას და ერთობას, რომელიც უნდა დაამყაროს სოციალიზმმა" „ისტორიაში აქვს ფესვები"? („სახ. ფურცელი" № 866. 18 მაისი.

ვკითხეთ ჩვენს თავს და აი რა აღმოჩნდა: მარქსისტულ იდეალს მომავალ ცხოვრებისას და მაზე დამყარებულ მოთხოვნილებებს ერთიანათ „ისტორიაში აქვს ფესვები". იგი მთელი თავის არსებით ამ ისტორიიდან გამომდინარეობს, მის საშოდან იბადება, მისი აუცილებელი შედეგია, ტყუილათ კი არ იყვნენ მეცნიერული სოციალიზმის შემქნელები „ისტორიული მატერიალისტები".

უფესვო და ჰაერში გამოკიდებულია მხოლოდ ის ეროვნული „სოციალიზმი", რომელიც თქვენს დროშაზე ფრიალობს, და რომელსაც მართლაც არ აქვს ნიადაგი არც ისტორიაში და არც დღევანდელ ცხოვრებაში. ჩვენ კი ტყვილა გვაწერთ ამ თქვენი „სოციალისტობის" უნიადაგობას. ჩვენ ჰაერში კოშკის საშენებლათ არა გვცალია. ბედკრულ დედამიწაზედაც ბევრი საქმე გვაქვს საკეთებელი.

* * *

„ვიჯმნი ეშმაკისაგან", ე. ი. ბურჟუაზიისაგან! აი ახალი დროშა ჩვენი უკადურესი სოციალისტ ბალშევიკებ... უკაცრავათ ფედერალისტების. ნუ გაგიკვირდება მკითხველო, რადგან თედო ღლონტის „გენიალური" თქმულება: დღეს „გონების (იგულისხმე ტვინის) მეტამორფოზის" ხანაა, რაიცა სოციალურ რევოლიუციასაც კი გვაახლოვებს. სამსონ დადიანი ასე ახორციელებს ზემო აღნიშნულ დიად ლოზუნგს:

„ყველა ჯურის ბურჟუაზია და აგრეთვე მისი მატრაკვეცი ქართველი, აგრეთ წოდებული ნაციონალდემოკრატია სწორედ იმისთვისაა მოწოდებული, რომ კალთაში ჩაებღაუჭონ რევოლიუციას, დააქრონ იგი და ზომიერი გონიერებისა და გონიერი ზომიერებისაკენ მოუწოდონ, რომ წინსვლამ და გაღრმავებამ რევოლიუციისამ არ შეარყიოს მათი პირადი კეთილდღეობა, არ შეარყიოს ის ატმოსფერა, რომელიც ზრდის და ასაზრდოებს ხალხის სხეულზე ისეთ პარაზიტებს, ისეთ ხორცმეტს, როგორიც ისინი არიან".

ეს ყველაფერი კეთილი და პატიოსანი, მარა ეროვნული ბურჟუაზიით რომ გუშინ ყურებს გვჭედდენ და ეს „ხორცმეტები", ეს „პარაზიტები" ეროვნულ სხეულის მხსნელათ და აღორძინების მთავარ მატარებლათ მიგაჩნდათ, აღარ გახსოვთ? დაგავიწყდათ, რომ ბურჟუაზიის დიადი „ეროვნული დანიშნულების" უარისყოფისთვის ჯვარზე ცმას გვპირებდით?

დღეს რაღამ შეცვალა ასე თქვენი აზრი და გონება?

* * *

„სახალხო ფურცელს" ამ ბოლო დროს დიდი პატივისცემა დაებადა ფრონტის ჯარისკაცთა ყრილობისადმი. მიზეზი უბრალოა: იგი დარწმუნებულია, რომ სიეზდი სოციალდემოკრატიის წინააღმდეგ მიდის და მის დებულებებს აბუჩათ იგდებს.

და აი მომდგარა ქადაგს:

„მაშინ, როდესაც ჩვენებური სოციალდემოკრატები ტაქტიკური მოსაზრებით პირში ბურთსა გვჩრიდნენ და გვეკრძალავდნენ სიტყვა ავტონომიის, ფედერაციის ხსენებას და ყოველგვარ ეროვნულ გამოსვლას, ფრონტის ყრილობამ დაადგინა: ნება არავის აქვს დამფუძნებელ კრებამდე განახორციელოს თავისი ნაციონალური იდეალი, ხოლო სრული თავისუფლება ენიჭება მისი ქადაგების და ხალხში გავრცელებისა". ესეც მორიგი დამარცხება სოც. დემოკრატებისა".

უცოდინარობაა ეს თუ განზრახ ჩადენილი სიყალბე? ვის უპირებს თვალების ახვევას ამით გაზეთი? მან ხომ უნდა იცოდეს, რომ რეზოლიუცია ეროვნულ საკითხზე, რომელიც ფრონტის ყრილობამ მიიღო, იყო სწორედ სოციალდემოკრატების რეზოლიუცია, მათგან შეტანილი ჯერ კიდევ რევოლიუციის პირველ დღეებში ამიერ კავკასიის აღმასრულებელ კომიტეტთა ყრილობაზე და იქ ერთხმათ მიღებული. სიეზდის ნაციონალურ სექციაში ეს რეზოლიუცია ჩვენმა ამხანაგებმა წარადგინა და როგორც სექციამ, ისე ყრილობამ იგი მიიღო. ცხადია ამ შემთხვევაში, ისე როგორც ყველა პოლიტიკურ საკითხებში ფრონტის ყრილობამ სოციალდემოკრატიის ტაქტიკა გაიზიარა და მისი ლოზუნგები მიიღო. მხოლოდ აგრარულ საკითხში ვერ დააღწია მან თავი „თემურ" ტრადიციებს.. ფედერალისტებს კი თავბრუ დაახვია ამ გარემოებამ და ახლა ტყვილს და მართალს ერთათ უპირებენ გასაღებას. გვიანაა ბატონებო, ახლა, „სიცრუეს მოკლე ფეხები ასხია".

* * *

საფრანგეთის სოციალისტ. მინისტრი ალბ. ტომა, მოგზაურობს რუსეთის თვალუწვდენელ სივრცეზე და ყველგან ერთსა და იმავეს ქადაგებს: ომი სრულ გამარჯვებამდე. ზავი უანექსიო და უკონტრიბუციო მას არ აკმაყოფილებს. საერთაშორისო მუშათა კონგრესზე მოლაპარაკებისაც წინააღმდეგია და მიზეზათ შეიდემან ზიუდეკუმებს ასახელებს. და ეს იმ დროს, როცა რუსეთის დრ. მთავრობა და განსაკუთრებით მუშათა და სალდათთა საბჭოები ენერგიულ ბრძოლას აწარმოებენ ინგლისის და საფრანგეთის ანექსიონისტურ ბურჟუაზიის წინააღმდეგ: იგი ამნაირათ ამ იმპერიალისტურ ბურჟუაზიას უმაგრებს ზურგს და ამით მუშათა კლასს თავის ისტორიულ მიზნის მიღწევას უძნელებს. ამის შესახებ მოსკოვის ს. დ. ორგანო „ვპერიოდ" № 53 სწერს:

„ალბ. ტომა ამ ფორმულაში (ე. ი. უანექსიო და უკონტრიბუციო ზავის მოთხოვნაში მეპრ.) სულ სხვა შინაარს სდებს, რომლის წინააღმდეგ ენერგიულ პროტესტს აცხადებენ რუსეთის სოციალისტები. რამდენიმე ათეული წლის წინეთ ჩამოშორებულ ადგილების დაბრუნება—ანექსია არ არისო, ასე ისმება საკითხი ელზას ლოტარინგიის შესახებ. გერმანიისაგან ბელგიისთვის და სერბიელთათვის ზარალის ანაზღაურება არ არის კონტრიბუციათ, ამა თუ იმ კუთხის ბედ-იღბლის გადაწყვეტა უნდა ეკითხოს მხოლოდ მის ძირითად მცხოვრებლებს და არა ჩამოსახლებულთო, ასე ესმის უფლება ერთა თვითგამორკვევის..

რუსეთის მუშათა კლასი ვერ შეურიგდება ასეთ განმარტებას. ის ყველა საშუალებით ეცდება დემოკრატიის აზრი და მოძრაობა ზავისაკენ მიმართოს... ჩვენ ვართ მომხრე ზავის ჩამოგდების საერთაშორისო მასშტაბით, ამიტომ ჩვენ უარსვყოფთ სეპარატიულ ზავს, მაგრამ სწორეთ ამიტომ ჩვენ უფლება გვაქვს მოვითხოვოთ მოკავშირეთაგან, რომ მათ ანგარიში გაუწიონ რუსეთის დემოკრატიის მისწრაფებებს...

„დემოკრატია (რუსეთის) არ გვღალატობს" ამბობს ა. ტომა. მარა რუსეთის დემოკრატიას არც ის სურს, რომ საფრანგეთის და ინგლისის კაპიტალისტები ჰყიდდენ მის ინტერესებს, რომელნიც აუცილებლათ თხოულობენ ახლო მომავალში ომის შეწყვეტას.

ამიტომ ჩვენ განსაკუთრებით ყურადღებას ვაქცევთ მინისტრ ა. ტომას სიტყვის იმ ნაწილს, სადაც ის აღნიშნავს, რომ შეუძლებელია ინტერნაციონალის აღდგენის სასარგებლოთ მუშაობა, თუ არ გვექნება იმის გარანტია, რომ რუსეთის სამხედრო ძალა ისეთივე ძლიერი იქნება, როგორიც არის საფრანგეთის მხედრობა ე. ი. რომ საფრანგეთი შესაფერ დახმარებას ჰპოვებს რუსეთის ფრონტზე".

ეს კიდევ ცოტაა, დავუმატებთ ჩვენ. ალ. ტომა ზოგჯერ უფრო გულახდილათ ლაპარაკობს „სრულ გამარჯვების" აუცილებლობაზე, ე. ი. მილიუკოვის ლოზუნგს იმეორებს. ჯერ გამარჯვება, მერე ინტერნაციონალი, ასეთია მისი ფორმულა. ჯერ ინტერნაციონალი მერე ზავი. ასეთია ჩვენი ლტოლვილება. ცხადია ტყვილა ირჯება საფრანგეთის მინისტრი. იგი რუსეთის დემოკრატიას ერთხელ არჩეულ სწორ გზიდან ვერ გადაახვევინებს.

რუსეთის რევოლიუციური ხალხი შესძლებს თუ მათთან არა მათ წინააღმდეგ საფრანგეთის და ინგლისის მუშათა კლასთან დაკავშირებას და საერთო მშვიდობიანობის მიღწევას.

დეპეშები.

(პეტ. დეპ. სააგ. 16 მაისი.)

ფრიდრიხ ადლერის სიკვდილის განაჩენის წინააღმდეგ გამართული მიტინგი.

რიბინსკი. 15 მაისი. ქ. რიბინსკში საჯარო მიტინგი გაიმართა. მიტინგს დიდძალი ჯარისკაცები, მოქალაქენი და სამხედრო ტყვეები დაესწრენ. აქ რეზოლიუცია გამოიტანეს ფრიდრიხ ადლერის სიკვდილის განაჩენის წინააღმდეგ.

დეზერტირების გამოცხადება.

კიევი. 15 მაისი. 15 მაისს ქ. კიევში დეზერტირთა შესაკრებლათ „ობლავა" მოახდინეს. დეზერტირთა შეპყრობაში ადგილობრივ მილიციას პრაპორშჩიკები, იუნკრები და მებრძოლი რაზმებიც ეხმარებოდენ. შეიპყრეს 12000 მეტი დეზერტირები, რომლებიც ბრძოლის ველზე უნდა გაიგზავნონ.

იურიდიული კომისიის თათბირი დამფუძნებელ კრების მოწვევის შესახებ.

პეტროგრადი. 15 მაისი. დაიწყო იურიდიული კომისიის თათბირი მომავალი დამფუძნებელ კრების მოწვევის საკითხის შესახებ. თათბირს პოლიტიკური პარტიებისა და ორგანიზაციების დელეგატები დაესწრენ. თათბირის დღიური წესრიგის მიხედვით პირველათ პრეზიდიუმს აირჩევენ; პრეზიდიუმის თავმჯდომარეს, ორ მის ამხანაგს და ორ მდივანს. შემდეგ პროპორციონალურ არჩევნების შესახებ მოხსენებას გააკეთებენ და საარჩევნო კომისიას აირჩევენ.

მუშათა დელეგატები შრომის მინისტრთან.

პეტროგრადი. 15 მაისი. შრომის მინისტრ სკობელევთან დონის ბასეინის მუშათა დელეგატები მივიდენ და განაცხადეს, რომ დამქირავებელთა და დაქირავებულთა შეთანხმების პირობების შემუშავების დროს სოციალ-რევოლიუციონერებისა და სოციალ დემოკრატების დეპუტატებიც იღებდენ მონაწილეობას. მუშათა დელეგატების განცხადებაზე მინისტრი დასთანხმდა.

მასწავლებელთა ყრილობა.

მოსკოვი. საშუალო სასწავლებელთა მასწავლებლების ყრილობამ დაადგინა მასწავლებელთა პედაგოგიურმა ორგანიზაციებმა ენერგიული მონაწილეობა უნდა მიიღოს, მომაზადოს მცხოვრებნი დამფუძნებელ კრებისთვის. აგრეთვე დაადგინეს, რომ საშუალო სკოლა უნდა იყოს ავტონომიური და სკოლის სახელმწიფოდან გამოყოფა [illegible] შეუძლებელია, რადგან მხოლოდ სახელმწიფოს შეუძლია სკოლების მატერიალურათ უზრუნველყოფა.

ყრილობამ თავის ხმა შეუერთა რუსეთის დემოკრატიისას ადლერის სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ.

წერეთელი მიტინგზე.

მოსკოვი. კვირას ფოსტა-ტელეგრაფის მინისტრი წერეთელი მივიდა მიტინგზე, რომელიც ხოდინის მინდორზე გაიმართა და სიტყვა წარმოსთქვა ახალ მთავრობის მიზნის შესახებ. შემდეგ მან მიმართა ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეებს და განუცხადა, რომ მასთან ბევრი საჩივრები მიდის ფოსტა-ტელეგრაფის უწესოთ მუშაობაზე და სთხოვა სასურველათ მოაწესრიგონ საქმე. მინისტრი ხელში აიყვანეს და ავტომობილში ჩსვეს. წერეთელმა გააცნო ყრილობას თავის პარტიული ამხანაგი როჟკოვი, რომელიც ფოსტა-ტელეგრაფის მინისტრის ამხანაგათ დაინიშნა. სიეზდმა დაადგინა ადლერის სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ პროტესტი განაცხადოს.

კავკასიის ჯარის სურსათის მიმწოდებელ მთავარ უფროსის დანიშვნა.

პეტროგრადი. გენერალურ შტაბის ყოფილი უფროსი ავერიანოვი დაინიშნა კავკასიის ჯარის სურსათის მიმწოდებელ მთავარ უფროსათ.

გლეხთა დადგენილება მიწის შესახებ.

პსკოვი. ვორონცოვის საზოგადო ყრილობამ დაადგინა დამფუძნებელ კრებამდე არ მოხდეს მიწების დაყოფა.

დემიდოვის განცხადება.

კიევი. მოხდა ხალხის თავისუფლების პარტიის კრება. სახელმწიფო დუმის წევრმა დემიდოვმა შემდეგი განაცხადა: ამბობენ, რომ ჯარში დიდი უწესოებაა. ნება მომეცით მე, როგორც ფრონტზე ნამყოფმა მოგახსენოთ, რომ დღეს ჯარი გაცილებით უფრო კარგ მდგომარეობაშია ვიდრე წინათ. მხოლოდ ეცადეთ სასოწარკვეთილების და პესიმიზმის ტალღამ ფრონტამდე არ მიაღწიოს. თუ დამარცხება მოხდა, ეს ზურგის წყალობით. მეტი იმედი, მეტი რწმენა ხალხისა და რევოლიუციისადმი, ჯარი კი თავის მოვალეობას შეასრულებს.

საჩივარი.

არზამასი. მიწის პატრონებმა გუბერნიის კომისარის წინაშე საჩივარი აღძრეს სამაზრო საზოგადოებრივ კომიტეტებზე, რომ მათი დადგენილებით შინაურ საქონლის 20 პროც. ართმევენ ჯარისთვის. კომისარმა აუხსნა, რომ ასეთი დადგენილება უკანონოაო.

თანამდებობის პირთა გადაყენება.

მინსკი. სლუცკის სამაზრო აღმასრულებელმა კომიტეტმა გადააყენა მთელი ადგილობრივი ადმინისტრაცია კომისარ ივანუხასთან ერთათ. მაზრის კომისარი თვით გადადგა.

ახალი პარტია.

მოსკოვი. ახალმოსულმა გუჩკოვმა განაცხადა, რომ დუმის წევრთაგან შესდგა ახალი პარტია, რომელიც აერთებს ბურჟუაზიულ და დემოკრატიულ ელემენტებს. ცენტრალურმა კომიტეტმა გადასწყვიტა შეუერთდეს ამ პარტიას.

ტიფის წინააღმდეგი შრატი.

სტოკჰოლმი. კონსტანტინოპოლიდან იტყობინებიან, რომ ბაქტერიოლოგმა კიამილ პოშამ აღმოაჩინა ტიფის წინააღმდეგი შრატი, თავის გამოგონება მან სცადა თხებზე და განსაცვიფრებელი შედეგები მიიღო.

სამხედრო-სამრეწველო კომიტეტების ყრილობა.

მოსკოვი. გაიხსნა სამხედრო-სამრეწველო კომიტეტთა მესამე ყრილობა. ყრილობაზე მოვიდენ ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრი კონოვალოვი, და სახელმწიფო დუმის წევრი ბუბლიკოვი. ყრილობაზე 1000 კაცი გამოცხადდა.

მღვდლის განდევნა.

მინსკი. სოფელ მოროჩში გლეხებმა განდევნეს მღვდელი, წაართვეს ეკკლესიის გასაღები, ხელში ჩაიგდეს მიწები და დაიყვეს.

გლეხთა პასუხისგებაში მიცემა.

პეტროგრადი. იუსტიციის მინისტრმა დეპეშით აცნობა ბრალმდებელს სისხლის სამართალში მისცეს, როგორც სახელმწიფოს მოღალატეები ის გლეხები, რომლებმაც ჯარისათვის გამზადებული 100.000 ფუთი პური წაართვეს მემამულე იგნატიევს.

შინაგან მინისტრის განმარტება.

პეტროგრადი. შინაგან საქმეთა მინისტრმა განმარტა, რომ ხაზინიდან ფული იმ საზოგადოებრივ ორგანიზაციებს მიეცემათ მხოლოდ, რომლებიც მთავრობის ფუნქციებს ასრულებენ. პარტიულ ორგანიზაციებს მუშათა და ჯარისკაცთა დეპ. საბჭოებს კი არა.

გერმანიის რესპუბლიკა.

ნიუ იორკი. შესდგა გერმანიის რესპუბლიკის მომხრეთა ორგანიზაცია, რომელიც მიზნათ ისახავს ვილჰელმის ტახტიდან ჩამოგდებას.

საფრანგეთის სოციალისტები კონფერენციაზე მიდიან.

პარიზი. საფრანგეთის სოციალისტთა ნაციონალურმა საბჭომ ერთხმათ დაადგინა მიიღოს მონაწილეობა სტოკჰოლმის კონფერენციაში და გაგზავნოს იქ თავის წარმომადგენლები. ამასთანავე საბჭო საჭიროთ სთვლის ეხლავე

შეუდგენ შეიმუშავონ მოქმედების გეგმა, აირჩიონ რუსეთისთვის სპეციალური დელეგატი და გამოარკვიონ რუს ამხანაგებთან ერთათ ინტერნაციონალის მოწვევის პირობები.

მკვლელობა.

თემირ ხანშურა. მუშებს პურის გულისთვის ჩხუბი მოუვიდათ მემამულე გროზესთან და დანით ყელი გამოჭრეს.

ომის დეპეშები.

(პ. დეპ. სააგ.)

პეტროგრადი. 18 მაისი. დასავლეთის ასპარეზზე და რუმინიის ფრონტზე ღირს შესანიშნავი არაფერი მომხდარა.

კავკასიის ფრონტზე, კიალკიტის ჩრდილო დასავლეთით მტრის ორმა როტამ იერიშები მოიტანა, მაგრამ მათი იერიშები მოვიგერიეთ. ბითლისის ჩრდილოეთით ქურთთა რაზმები შეეცადნენ ჩვენი სანგრების დაკავებას, მაგრამ ისინი გავფანტეთ. ბახას სამხრეთით მტრის რაზმები მდ. დიალეს იქით გადავრეკეთ. დაიწყო აუტანელი სიცხე და ქარები.

ჰაეროპლანების მოქმედება.

ჩვენმა მფრინავებმა ლიბავა-რომენისა და ბოლაგო სედლეცის რკინის გზის ლიანდაგებს ყუმბარები დაუშინეს და იქ აფეთქებები გამოიწვიეს.

პარიზი. 15 მაისი. შამპანში საარტილერიო ბრძოლამ სასტიკი ხასიათი მიიღო. ტეტონას რაიონში ბრძოლა ხელით სასროლ ნაღმების საშუალებით სწარმოებს. დანარჩენ ფრონტზე სიწყნარეა.

— იურტებიზის რაიონში მტრის იერიშები მოვიგერიეთ. შამპანში, პარუას სამხრეთით მოწინავე რაზმები იბრძვიან. მდ. მაასის მარჯვენა ნაპირას მდებარე პოზიციებს ზარბაზნის ყუმბარები დავუშინეთ. შაროვილის ჩრდილოეთით გერმანელების საყარაულო დავკავეთ. დანარჩენ ფრონტზე დროგამოშვებითი სროლაა.

ჩვენმა მფრინავებმა გერმანელების 7 ჰაეროპლანი ჩამოაგდეს.

ლონდონი. 15 მაისი. საფრანგეთის ფრონტზე, შერიზისა და ლანსას სამხრეთით გერმანელებმა იერიშები მიიტანეს, მაგრამ ჩვენ მათ დიდი ზიანი მივაყენეთ და უკუ ვაქციეთ. სოვერლის ჩრდილოეთით მტრის ჯარს თავს დავესხით და იქიდან ტყვეები წამოვიყვანეთ.

რომი. 15 მაისი. კარსოს რაიონში, ჯამიანის სამხრეთ აღმოსავლეთით მტრის სანგრები დავიკავეთ. გარდა ამისა ტიმანო გადავლახეთ და სინ-ჯიოვანი ავიღეთ. აქ ხელთ ვიგდეთ ერთი მორტირი.

რიგა. 15 მაისი. მიტავის მიმართულებით ორსავ მხრიდან სასტიკი საარტილერიო სროლა დაიწყო. ამ სროლის დროს დიდათ დავაზიანეთ მტრის ბატარეები.

დეპეშა.

(საკ. კორ.)

ჩხენკელმა ინახულა მურღულის მაღაროები, მუშებმა სამუშაოს თავი დაანებეს და მცხოვრებლებთან ერთად ოვაცია გაუკეთეს მას. ჩხენკელმა ილაპარაკა მიმდინარე მომენტზე, მოუწოდა ყველა ეროვნებათ საერთო მოქმედებისაკენ და მოისმინა მუშებისა და მცხოვრებთა საჩივრები, რის შესახებ სათანადო განკარგულებანი მოახდინა.

ახალი ამბები

◆ სუფსის რაიონული ს.-დ. ორგანიზაცია ევნატე ნინოშვილის 23 წლის გარდაცვალების აღსანიშნავათ მის საფლავზე მართავს კვირას, 21 მაისს, სამოქალაქო პანაშვიდს და მოუწოდებს ყველა თანამოაზრეებს სხვა და სხვა დაწესებულებაში მყოფთ გამოგზავნონ დელეგატები მათთვის ტანჯულ ადამიანის საფლავის პატივსაცემლათ. დელეგატები და სტუმრები მოვლენ ს. ჯუმათში და იქიდან ჩანჩეთის ეკლესიაზე.

◆ **თბილისის ორგანიზაციის მეორე რაიონის კოლექტივის ბიურო** რ. ს.-დ. მ. პ. მოთავსებულია ზუბალაშვილის სახალხო სახლში. შესავალი ეზოდან, მეორე სართულზე. იქვე შეუძლიანთ ჩაეწერონ წევრებათ და შეიძინონ პარტიული ლიტერატურა. ბიურო ღიაა 10—1 საათამდე და 5—7-მდე.

◆ მუშათა დელეგატების საბჭოსთან არსებულმა პროპაგანდისტთა კოლეგიამ 1 მაისიდან 15-მდე 115 გამოსვლა მოაწყო კრებების, მიტინგების და ლექციების სახით.

◆ **მუშათა და გლეხთა დელეგატების ყრილობა** გაიხსნება კვირას, 21 მაისს, დილის 10 საათზე სახალხო სახლში.

◆ **კომისარიატმა ალაზნის გაღმა მხრიდან** მიიღო შემდეგი დეპეშა: სამი თვეა არა გვყავს მილიციის უფროსი, გთხოვთ დაამტკიცოთ ყოფილი ბოქაული ყიფიანი და გადასდოთ თანხა 30 მილიციონერის შესანახათ. ლაგოდეხის აღმასრულებელი კომიტეტი.

◆ **კავკასიის ჯარის დელეგატთა სიეზდმა** გაგზავნა შემდეგი დეპეშა: „კავკასიის ჯარის სახელით, რომელიც შესდგება იმ თავისუფალ ხალხის შვილებისაგან, რომელმაც უარყო სიკვდილით დასჯა, როგორც ნაშთი ველურობისა და დესპოტიზმისა—ფრონტის სიეზდი გამოსთქვამს პროტესტსა და უღრმეს უკმაყოფილებას სახალხო მებრძოლს ფრიდრიხ ადლერისათვის სიკვდილით დასჯის მისჯის გამო“.

◆ 18 მაისს შესდგა ქალაქის საარჩევნო კომიტეტის კრება ახალი საარჩევნო კანონების განსახილველათ. თავმჯდომარეობდა ნოე რამიშვილი. კრებამ კოოპტაციით მიიღო ხატისოვი. გადაწყდა მოხდეს ერთ დღიური აღწერა მოქალაქეთა, რისთვისაც შემუშავებულ იქნა ბარათების ფორმა. არჩეულ იქნა პრეზიდიუმი: ხატისოვი, რამიშვილი და ზურაბოვი. სამიც მდივანი: ხახანაშვილი, ბოგუცკი და აბრამიანი.

◆ ბინის საკითხის შესახებ, ქალაქის აღმასრულებელ კომიტეტში ვრცელი მოხსენება გააკეთა ბაროვმა. დაადგინეს: წინადადება მიეცეს მომრიგებელ მოსამართლეთ შეაჩერონ სახლის პატრონთა და დამქირავებელთა დავა ბინების დაცლის შესახებ.

◆ 18 მაისს დაიწყო მრეცხავთა გაფიცვა, რომელთაც სამართლიანი მოთხოვნილებანი წაუყენეს სამრეცხველოს პატრონებს. მარა პატრონებმა არ დააკმაყოფილეს. კავშირის გამგეობა მოუწოდებს მცხოვრებთ ხელი შეუწყონ ამ გაფიცვას. ამხანაგმა მუშებმა არ უნდა დაიჭირონ გაფიცულთა ადგილი. ყოველი შეგნებული მუშის მოვალეობაა, ხელი შეუწყოს გაფიცვას, რომ შტრეიკბრეხერებმა არ ჩაშალონ ის.

◆ **ჟურნალი „სხივი“.** რადგან შესაფერი ქაღალდის შოვნა შეუძლებელი გახდა და სტამბაც ვერ ახერხებს დროზე დაბეჭდვას, ჟურნალ „სხივი“-ს რედაქცია და გამომცემლობა აცხადებს, რომ საქმის საბოლოოთ მოწყობამდე და მკვიდრ საფუძველზე დაყენებამდე ჟურნალი ვერ გამოვა.

◆ ბეჭდვითი საქმის მუშათა პროფესიონალური კავშირის გამგეობამ თავის სხდომაზე 17 მაისს გამოიტანა შემდეგი რეზოლიუცია: რევოლიუციურ ლიტერატურაზე ზედმეტი მუშაობის ნებართვა ეძლევა კავშირის ყველა წევრს. განსაკუთრებული ნებართვის მიღება გამგეობისაგან ამ საგანზე საჭირო არ არის, ასეთი ნებართვა უნდა მხოლოდ სხვა სამუშაოებზე მუშაობას, გარეშე რევოლიუციურ ლიტერატურისა.

◆ პარასკევს, 19 მაისს, ციმბირიდან თფილისში ჩამოვიდენ გათავისუფლებული პოლიტიკურები: 1) ლ. ანდღულაძე (ს. დ.). 2) გ. ზუბაშვილი (ს. დ.), 3) ბ. ნაცვალაძე (ს. დ.), 4) ს. ედიბერიძე (ს. დ.), 5) ვ. ორაგველიძე (ს. დ.). 6) დ. გოგონაძე (ს. დ.), 7) ე. მოსიაშვილი (ს. დ.), 8) მ. გურგენაძე (ს. რ.), 9) ი. აგადჟანოვი (დაშნაკცუტ.) ზოგიერთი მათგანი თფილისში დარჩებიან, სხვები პროვინციაში წავლენ.

◆ ქ. გეორგევსკში 11 მაისს 11 საათზე ადგილობრივ კომისარის განკარგულებით, დატყვევებულ იქნა ყოფილი კომენდანტი კაპიტანი ოსიპოვი, რომელიც პროვოკაციას იწეოდა და სცდილობდა ძველი რეჟიმის განახლებას. დატუსაღებული იმყოფება ადგილობრივ გარნიზონის სატუსაღოში.

◆ პარიკმახერ-დალაქთა და საზოგადოების საყურადღებოთ, ქარგალ-ხაზეინთა შეერთებული მომრიგებელი კამერა აცხადებს, რომ საერთო დადგენილებისამებრ, საპარიკმახეროები და სადალაქოები გაიღება (5 მაის.) დილის 9 საათ. 1-ლ საათამდე და 3-დან საღამოს 7 საათამდე. გარდა ამისა აკრძალულია მუშაობა სახლებში და სასტუმროებში, აღნიშნულ დროს შემდეგ. ვინც ამ დადგენილებას დაარღვევს სახელოსნო დაიკეტება 1 დღით, თუ განმეორდა ორი დღით, მესამეჯერ კი სამუდამოთ.

◆ ახლათ დაარსებული მცხეთის რაიონის; დუშეთის მაზრის სოც.-დემ. ჯგუფი მოუწოდებს ყველა ამხანაგს ჩაეწერონ პარტიაში. მალე მოხდება დამფუძნებელი კრება, რომელიც აირჩევს დუშეთის მაზრის ს. დ. კომიტეტს. მცხეთის რაიონის დუშეთის მაზრის სოც.-დემ. პარტიის ჯგუფი. მსურველთ შეუძლიათ წევრათ ჩაეწერონ შემდეგ პირებთან: დუშეთში მიშა კლიმიაშვილთან, მცხეთაში დ. ქიტუაშვილთან, გ. დეკანოზიშვილთან, ჯარისკაც ს. იმერლიშვილთან, ალ. კაპანაძესთან, შ. კობიაშვილთან, პ. გოგისვანიძესთან და დ. გურგენიძესთან (კარსანში).

◆ განსაკუთრებულმა ამიერ კავკასიის კომიტეტმა საბოლოოთ შეიმუშავა წესდება იარაღის ტარების შესახებ. აკრძალულია სასროლ იარაღის ტარება სახაზინო სისტემისა დანარჩენზე ნებართვის აღებაა საჭირო. ხანჯლისა და ხმლის ტარება არ არის აკრძალული.

◆ კავკასიის მუზეუმის შენობას, რომელიც ჯერ კიდევ დამთავრებული არ არის, დროებით გადააკეთებენ ლაზარეთებისთვის.

კრებები და მიტინგები.

დღეს 20 მაისს ამიერ კავკასიის რკინის გზის კანდუკტორების კრებაა დანიშნული თბილისის სადგურზე, სამორიგეო ოთახში 11 საათზე. თემა: აგრარული კითხვა. რუსულ ენაზე.

— დღეს 20 მაისს მოხდება კრება ფოსტის მოსამსახურეთა მიხაილოვის ქუჩაზე, საღამოს 7 საათზე. უმთავრესი ფოსტა. თემა მიმდინარე მომენტი.

— დღეს 20 მაისს შესდგება კრება რკინის გზაზე მომუშავე სალდათებისა. საქონლის სადგური. საღამოს 7 საათზე.

— დღეს მოხდება კრება 155 ევაკუაციის პუნქტის სალდათებისა ნავთლუღში დღის 3 საათზე. თემა: დემოკრატიული რესპუბლიკა და დამფუძნებელი კრება.

— პროპაგანდისტთა კოლეგია სთხოვს ბაქოში მყოფ ნარიმანოვს ჩამოვიდეს და წაიკითხოს ლექციები მუსულმანურ ენაზე, რის მოთხოვნილება ძალიან დიდია.

— დღეს 20 მაისს ნაშუადღევს 5 საათზე სახალხო სახლში შესდგება კრება მუშათა დეპუტატების საბჭოს წევრებისა. დღის წესრიგი: 1) ნაციონალური კითხვა 2) მუშათა კითხვა 3) სასურსათო საკითხი 4) დელეგატების არჩევა კავკასიის საოლქო სიეზდზე. აღმასრულებელი კომიტეტის ბიურო.

საზღვარ გარეთ.

ადლერის უკანასკნელი სიტყვა. ადლერმა საბრალმდებლო ოქმის წაკითხვის შემდეგ ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა, რომლითაც მან დაახასიათა მინისტრ შტიურგის შავრაზმული მოღვაწეობა.

„სიკვდილის დღეს—სთქვა ადლერმა—შტიურგი ყოყმანობდა ნება დაერთო ელაპარაკნათ რეიხსრატის მოწვევის შესახებ თუ არა. ერთ თავის წერილში, რომელიც ჩეხიაში გამოაქვეყნეს, ის ამბობს, რომ არ არსებობს ისეთი ინსტანცია, რომელსაც შეეძლოს ძალა დაატანოს მას მოიწვიოს პარლამენტი. გარდა ძალმომრეობისა სხვა გზა არ იყო. მქონდა თუ არა უფლება მე ამ გზას დავდგომოდი? ჩემის აზრით ამ გზაზე დადგომა შეეძლო ყველა მოქალაქეს, როცა საქმე სახელმწიფოს დახსნას შეეხება. მე ისეთი გულუბრყვილო არა ვარ მეფიქრა, რომ ჩემის მოქმედებით მე დავამხობდი თვითმპყრობელობას, მაგრამ მე მინდოდა ხალხის მასა ისევ დაფიქრებულიყო მთავრობის შესახებ და ამგვარათ მომავალ რევოლიუციისთვის ნიადაგი მომემზადებია. მე მივეცი ჩვენება ძალმომრეობის ორგანოს—სასამართლოს მთავრობას“. დაასრულა ადლერმა.

როგორც ვიცით ადლერს სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტეს.

— **იაპონია რუსეთის შესახებ.** ამერიკიდან მიღებულ ცნობას, თითქოს გერმანიას რუსეთისთვის სეპარატიულ ზავის წინადადება მიეცეს, იაპონიაში უნდობლათ შეხვდენ. ამის შესახებ გაზეთი „დზიდზი“ სწერს, რომ თუნდაც ამ გვარი წინადადება ყოფილიყოს, ის უარჰყო რუსეთმა. გაზეთი პროტესტს უცხადებს რუსეთის პრესის ერთ ნაწილს, რომელმაც იაპონიას დასწამა, თითქოს რუსეთის რევოლიუციას იქ მტრულად შეხვდენ. წინააღმდეგ იაპონიის უმთავრესი ორგანოები აღტაცებით შეხვდენ რუსეთის რევოლიუციას, მიესალმენ ახალ მთავრობას, რომელმაც უზრუნველ უნდა ჰყოს რუსეთის ხალხის უფლება—თავისუფლება.

შემდეგ გაზეთი ეხება იმ გავრცელებულ ხმებს, თითქოს იაპონია მტრობას გამოუცხადებს რუსეთს თუ მან სეპარატიული ზავი შეჰკრა გერმანიასთან. გაზეთს უკვირს როგორ დაიჯერა რუსეთის საზოგადოების ნაწილმა ეს ყოვლათ უმსგავსო და ყალბი ცნობა, რომელიც ყურადღების ღირსიც არ არის.

— **საქსონიის პალატაში.** საქსონიის ქვედა პალატაში შინაგან საქმეთა მინისტრმა უარჰყო მემარცხენეთა ყველა წინადადება კონსტიტუციის რეფორმების შესახებ და სთქვა, რომ არაფერი ამისთანას საქსონიაში ადგილი არა აქვს. ამის პასუხათ პალატამ ერთხმათ დაადგინა შეადგინოს კომისია კონსტიტუციის რეფორმების შესამუშავებლათ.

— **ს. დ. გააზეს განცხადება საბიუჯეტო კომისიაში.** გერმანიის ს. დემოკრატ გააზემ საბიუჯეტო კომისიაში შემდეგი განაცხადა: ხალხს ყურები გამოუჭედეს სხვადასხვა დაპირებებით, მაგრამ ეს დაპირებები მხოლოდ დაპირებებათ რჩება, ნამდვილათ კი ყველაფერი ძველებურ წესზე მიმდინარეობს: დამოუკიდებელ სოციალისტებს სდევნიან და ავსტრია და გერმანია წინანდებურათ რეაქციის ბუდეს წარმოადგენს. იმ დროს როდესაც ყველა ქვეყნებში გაისმის ხმები: „ძირს საიდუმლო დიპლომატია“, ჩვენში რეფორმების კომისია იწონებს საგარეო პოლიტიკას საქმეები დახურულ კარებში ხდებოდეს.

— **ინციდენტი სამხედრო მინისტრთან** იმავ საბიუჯეტო კომისიაში სოციალისტ შეპფლინს დიდი შეტაკება მოუვიდა სამხედრო მინისტრთან. შეპლინმა უსირცხვილობა უწოდა იმას, რომ ფრონტზე მყოფ ლანდტაგის წევრებს ნებას არ აძლევენ სესიას დაესწრონ. მინისტრმა ბრაზიანათ უპასუხა, რომ ის არ ჩაერევა ფრონტის უფროსების საქმეში და არც სურს რეიხსტაგმა მისი უფლებები გააფართოვოს, რადგან საჭირო არაა მისთვის „დანიელების“ საჩუქარი. ამ სიტყვებმა მთელ რეიხსტაგში დიდი აღშფოთება გამოიწვია. ცენტრმა ხმამაღლა ყვირილი დაიწყო: ნებას არ მოგცემთ რეიხსტაგს გვერდი აუხვიოთო. მინისტრი იძულებული შეიქნა განეცხადებია, რომ მან სრულიად განზრახვა არ ჰქონია რეიხსტაგის წინააღმდეგ გამოსულიყო. დამოუკიდებელმა სოციალისტმა სასტიკი პროტესტი განაცხადა შემოერთებულ ქვეყნების მცხოვრებლებს უკანასკნელი სისხლი გამოსწურონ, წაართვან სამეურნეო მანქანები და მუშა საქონელი. კონმა ბრალი დასდო გერმანიას, რომ მან გამოიწვია ომი. დარბაზში დიდი ხმაურობა ასტყდა. თავმჯდომარემ ორჯერ მოუწოდა წესიერებისაკენ.

— **„ფორვერტსი“-ს აზრი ამ ინციდენტის შესახებ.** სამხედრო მინისტრთან ინციდენტის გამო გაზეთი „ვორვერტსი“ სწერს, რომ სამხედრო მინისტრმა თავის გამოსვლით აშკარათ დაამტკიცა გერმანიის მთავრობის განზრახვა და მისი სულისკვეთება. რეფორმებზე კამათის დროს მთავრობა ხმას არ იღებდა, ხოლო სამხედრო მინისტრმა მოულოდნელათ წამოისროლა ისეთი სიტყვები, რომლებმაც ნათელ ჰყვეს გერმანიის მთავრობის და უმეტესათ უფროს აფიცერთა აზრი.

— **საყოველთაო არჩევნების უფლება ინგლისში.** როგორც იქნა ინგლისელები ეღირსენ ამ სანატრელ რეფორმას. ქვედა პალატაში უკვე შეიტანეს კანონპროექტი საყოველთაო საარჩევნო უფლების შემოსაღებათ. ამ კანონპროექტით საარჩევნო ხმის უფლება აქვს ყველა მამაკაცს, რომელსაც 21 წელიწადი შეუსრულდა. უფლება ეძლევა აგრეთვე ჯარისკაცებს, რომლებიც ამდენ ხანს მოკლებულნი იყვნენ ამას. ამ მხრით ინგლისელმა ქალებმაც გაიმარჯვეს, ხმის უფლება მათაც მიეცემათ. არჩევნებში მონაწილეობას მიიღებს ყოველი ქალი 30 წლისაზე არა ნაკლები. არჩევნები უნდა მოხდეს მთელ ინგლისში ერთ დღეს.

მუშათა დეპუტატების საბჭოს სასწრაფო კრება.

19 მაისს მოხდა მუშათა დეპუტატების საბჭოს სასწრაფო კრება გ. ერაძის და შემდეგ ნ. ჟორდანიას თავმჯდომარეობით. კრებას უნდა განეხილა შემდეგი კითხვები: 1) აგრარული; 2) მუშათა და 3) სასურსათო.

აგრარულ საკითხის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. სმირნოვმა. მომხსენებლის შინაარსი მოკლეთ ასეთია: რუსეთში 120—130 მილიონამდე უმამულო გლეხი იქნება, რომლებიც დღითი-დღე უფრო ღარიბდებიან. გლეხის ხარჯი მის შემოსავალს 15 მ. აღემატება. მაშასადამე ის 15 მან. ნაკლებს სჭამს. მიუხედავათ იმისა, რომ ბუნება ხელს გვიწყობს სასოფლო მეურნეობის წარმოება უკიდურეს მდგომარეობაშია. ამის მთავარი მიზეზი კი საყოველთაო უკულტურობაა. სახ. სამეურნეო წარმოების გაფართოების უმთავრესი საშუალება მიწის კულტურულათ დამუშავებაა. მეორე საშუალება ეს გლეხების ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებაა, მათთვის მიწების მიცემაა. მაგრამ მცხოვრებლები მრავლდებიან და მიწა კი ისევ იმოდენაა, რამდენიც იყო. აქედან გამომდინარეობს მიწის ნაკლებობა, რაც აიძულებს გლეხებს სხვაგან გადასახლდენ. მაგრამ ეს ზომა ძლიერ ხელს უშლის გლეხის მდგომარეობას, ახალ ადგილზე გადასახლებული გლეხი ჩქარა ვერ ეჩვევა ადგილობრივ სასოფლო-სამეურნეო ცხოვრების პირობებს, რადგან ის საამისოთ ვერ არის მომზადებული. ამიტომ გლეხები იძულებული არიან ისევ უკან დაბრუნდენ. ეს გარემოება იწვევს აგრარულ მოძრაობას, რომელსაც ადგილი ჰქონდა 1905 წელს და აქვს ეხლაც. რევოლიუციამ საუფლისწულო, კაბინეტის, სამინისტრო და მსხვილ კერძო მესაკუთრეთა მიწის კონფისკაციის საკითხი წამოაყენა. მაგრამ რევოლიუციის კარგათ დასამთავრებლათ საჭიროა შესაფერათ მოწყობა. როგორ უნდა მოვიქცეთ? ვიცით, რომ სხვა და სხვა გეოგრაფიულმა პირობებმა მიწის ქონების და მიწით სარგებლობის სხვა და სხვა ფორმა შექმნა. ზოგან არსებობს თემურათ მიწათმფლობელობა და ზოგან სხვა. ზოგან მსხვილი მიწათმფლობელობაა და ზოგან წვრილი. სასოფლო მეურნეობაში ჩვენ ჯერაც არ ვხმარობთ ინტენსიურ საშუალებას. ეს სხვა და სხვაობა შეუძლებლათ ხდის ერთის საზოგადო წესით გადაწყდეს რუსეთში აგრარული საკითხი.

ამ თვალსაზრისით აკრიტიკებს მომხსენებელი ს.-რევოლიუციონერთა აგრარულ პროგრამას. მომხსენებელი უარს ამბობს წინდაწინ გადასწყვიტოს აგრარული საკითხი ერთ რომელიმე საზოგადო თეორიით. თვით ცხოვრება გადასწყვეტს ამ საკითხს სხვადასხვა ადგილას სხვადასხვა სახით. საზოგადოთ აგრარული პროგრამა უნდა დაიყოს რამდენიმე ნაწილათ, რომლებსაც ადგილობრივ განახორციელებს დემოკრატიული თვითმართველობები.

მომხსენებელს ტაში დაუკრეს, შემდეგ გაიმართა კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო ს.-რევოლიუციონერებმა, მენშევიკებმა და ბოლშევიკებმა. ს.-რევოლიუციონერები იცავდენ მიწის სოციალიზაციას. თ. კალანდაძე (ბოლშ.) იცავს ლენინის პროექტს მიწის ნაციონალიზაციის შესახებ, და ამბობს, რომ დამფუძნებელ კრებამდე მთელი მიწები ხელში ჩავიგდოთ.

თ. დგებუაძე. სოციალიზაციას და ნაციონალიზაციას ბურჟუაზიულ ზომებს უწოდებს. რევოლიუცია ბურჟუაზიულია და სახელმწიფოს ხელში მიწების გადასვლა ნიშნავს ბურჟუაზიის ხელში გადასვლას, რადგან ის ბურჟუაზიული.

ამხ. **ვ. ჯუღელი** (ბოლშევ.) ეკამათება თავის ფრაქციულ ამხანაგს და მიწების ეხლავე ჩაორთმევას რევოლიუციის ხელის შემშლელათ სთვლის. ის სრულებით უერთდება მენშევიკებს აგრარულ საკითხში მიწის მუნიციპალიზაციის შესახებ. ამხ. **ნ. ხომერიკი.** რადგან დღევანდელი რევოლიუცია სოციალისტური არ არის და მიწას სოციალიზაცია სოფლის მოწინააღმდეგე კლასების ურთიერთ შორის არიგებს, ასეთი ზომა ანელებს კლასობრივ ბრძოლას და მით ხელს უშლის სოციალიზმისაკენ მოძრაობას.

კამათის გათავების შემდეგ კრებამ გარდა 7 კაცისა, რომლებმაც თავი შეიკავეს, ერთხმათ მიიღო მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს სრულიად რუსეთის თათბირის რეზოლიუცია აგრარულ საკითხის შესახებ.

დასასრულ ამხ. ზურაბოვმა წინადადება მისცა კრებას მოხდეს კვირას მანიფესტაცია ავსტრიის ს.-დემოკრატ ადლერის სიკვდილის დასჯის წინააღმდეგ პროტესტის გამოსაცხადებლათ.

ღია წერილი თფილისის მუშათა დეპუტატების საბჭოს მიმართ.

გერმანიის სახელმწიფოში მრავალი სამხედრო და სამოქალაქო ტყვეები იმყოფებიან. ჩვენ გვინდა თფილისის მუშათა დეპუტატების საბჭოს ყურადღება ამ ჟამათ „ინტერცივილისაკენ“ ანუ სამოქალაქო ტყვეობისაკენ მივაქციოთ. უკანასკნელი ტიპის ტყვეები გერმანიაში მრავლათ იმყოფებიან და მათ შორის ქართველებიც.

საერთაშორისო ომი მათ იქ ყოფნის დროს გამოცხადდა და ისინიც გერმანიის მთავრობამ სამოქალაქო ტყვეებათ გამოაცხადა. ესენი თითქმის სამი წლის განმავლობაში გაჭირვებას განიცდიან და ბევრი მათგანი დასნეულდენ და უკვე წუთისოფელს გამოესალმენ. ასეთი ბედი ეწვია ცნობილ ამხანაგს ლ. დარჩიაშვილს. ასეთ გაჭირვება და ავათმყოფობაში იმყოფება სხვათა შორის ჩვენი ამხ. ალექსანდრე სიმონის ძე სვანიძე. იმედია თფილისის მუშათა საბჭო პეტროგრადის მუშათა და ჯარის კაცთა დეპუტატების საბჭოს წინაშე იშუამდგომლებენ და უკანასკნელი კი შვეციის ელჩის მეოხებით გერმანიის მთავრობას წინადადებას მისცემს ჩვენ მიერ დასახელებული ამხანაგი რომელსამე აქ მყოფ გერმანელ სამოქალაქო ტყვეში გაიცვალოს და ამ გზით საშუალება მიეცეს ამხ. სვანიძეს თავის ქვეყანაში დაბრუნდეს და კვლავ დემოკრატიის სასარგებლოთ მუშაობას შეუდგეს.

შვარცი.

სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში.

ქ. ყარსი.

აქ შესდგა მესამე დამფუძნებელი კრება ყარსის ორგანიზაციის რ. ს. დ. მ. პარტიისა.

კრებას მოხსენდა დროებითი ბიუროს მოქმედების ანგარიში, საიდანაც სჩანს, რომ დღემდი ჩაეწერილა წევრათ 370 კაცი.

ჩვეულებრივ საწევრო და ერთდროული გადასახადის გარდა, ბიუროს მიუღია 807 მან. და 29 კაპ. „ინტერნაციონალური“ საღამოდან, რომელიც გაიმართა აქ 9 მაისს ბიუროს ხელმძღვანელობით ორგანიზაციის სასარგებლოთ, რისთვისაც კრებამ ინიციატორთ მადლობა გამოუცხადა.

შემდეგ კრებამ განიხილა ორგანიზაციის წესდება ბიუროს მიერ შეტანილი ცვლილებით და ერთხმათ მიიღო იგი. ცვლილება ეხება ახალ წევრების მიღებას, 5 მაგიერ სამი ამხანაგი თავდებობს. ჯარისკაცთათვის ერთდროული გადასახადი გააუქმეს და თვიური 10 კ. დააწესეს.

შემდეგ კრებამ მოისმინა ბიუროს მიერ საოლქო კომიტეტში გაგზავნილი მილოცვის დეპეშის შინაარსი, და შეუდგა ხელმძღვანელი კოლექტივის არჩევას. აირჩიეს 9 წევრი და 6 კანდიდატი. არჩეული არიან: პარ. ივანიანცი, უდალოვი, გალკინი და ჯაყელი ერთხმათ. ხმის უმეტესობით: ვენგეროვსკი, შიბაევი, ქ. ვოლბზონი, სკაჩკოვი და არეშკინი.

კანდიდატებათ: ნაფ. ვექილ. გ. კოსტანოვი, პ. ძიმისტარაშვილი, თებზაძე, ვაინშტეინი, ჩახავა და ბარანსკი.

აირჩიეს აგრეთვე სარევიზიო კომისია სამი პირისაგან: პრ. ანთელავა, ცხოვრებაძე და ბუზგეი.

მომავალი კრება დაინიშნა 15 მაისს. დაევალა ახლათ არჩეულ კოლექტივს მიიღოს დროებითი ბიუროსაგან საქმის წარმოება, გაინაწილოს მოვალეობა ერთმანეთ შორის და წარმოუდგინოს მომავალ კრებას მოქმედების გეგმა.

კრების თავმჯდომარე **ხ. ჯაყელი.**

დ. ანაკლია.

7 მაისს აქ ჩამოვიდნენ ფოთის სოც. დემ. მუშ. პარტ. ორგანიზაციის წევრი ამხანაგები. საღამოს მოწვეულ იქმნა ადგილობრივ მცხოვრებთა კრება, სადაც მოსულებმა აუხსნეს რ. ს. დ. მ. პ. პროგრამა. მეორე დღისთვის იყო მოწვეული ს. დ. მ. პ. ადგილობრივ ორგანიზაციის დამფუძნებელი კრება. კრებაზედ ფართოდ იქმნა ახსნილი პროგრამა. ილაპარაკეს რევოლიუციის, ომისა და ზავის შესახებ.

კოლექტივის წევრებად არჩეულ იქმნა 17 კაცი, რომელთა შორის სამი ჯარისკაცია და ორი ქალი. შემდეგ შესდგა კოლექტივის კრება. პრეზიდიუმში აირჩიეს: თავმჯდომარედ ს. გურგენიძე, მის ამხანაგებათ: ა. ლეჟავა და აბ. ხაბურზანია, მდივნათ დ. აფაქიძის ასული და ნ. გეგენავა, ხაზინადრად ბ. ახალაია, სარევიზიო კომისიაში: ბ. მგელაძე, ვ. პოტაპენკო და ს. გოგიჩაიშვილი. ახალ წევრთა მიმღებ სექციაში: ო. ჰანტურია, ნ. გოგავა, თ. ხაბურზანია, ი. პინკოვი და პ. ახალაიასა.

კრებამ დაადგინა კოლექტივის კრება მოხდეს კვირაში ერთხელ შაბათობით. კოლექტივს კავშირი ექნება ფოთის ორგანიზაციასთან.

ნოე გეგენავა.

ქ. ქუთაისი.

ათ აპრილს რეალურ სასწავლებლის შენობაში მოხდა სოციალ.-დ. პარტიული კრება. კრებას დაესწრო 600 წევრი. თავმჯდომარედ აირჩიეს ნიკ. ჭუმბურიძე, ამხანაგად ილ. მანდარია, მდივნად ლეო რუხაძე. დღიურ წესრიგში შედიოდა: მოხსენება პარტიის კომიტეტის, მუშათა საბჭოს, მ. და ჯარის.-კ. დ. ს. აღმასრულებელ კომიტეტის, ჯარისკაცთა საბჭოს, პროფესიონალური კავშირების, სასურსათო საკითხი, მუშა ქალთა ორგანიზაციის, კომიტეტის და სექციების არჩევნები.

პარტიულ კომიტეტისა, მუშათა და ჯარისკაცთა დეპ. საბჭოებისა და მათ აღმასრულებელ კომ. მოქმედების შესახებ ვრცელი მოხსენება გააკეთა ამხ. გრ. ურატაძემ.

მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი, რომელშიდაც მონაწილეობა მიიღეს ამხ. კუპრა-

შვილმა, ან. გელაზაროვმა, გ. დონდუამ, ტ. სალაიამ, პატარიძემ, ვ. ნოზაძემ, ლ. რუხაძემ, .ლ დადეშქელიანმა, მ. აბულაძემ, პლ. თალაკვაძემ და სხვ. ორატორები აღნიშნავდენ, რომ, მართალია კომიტეტს ბევრი უმუშავია, მაგრამ ნაკლები ყურადღება მიუქცევია წმინდა პარტიული მუშაობისთვის და საჭიროთ სცნობდენ, რომ მომავალში მუშაობის ამ საქმეს უფრო მეტი ყურადღება მიექცეს. საჭიროა სოფელს მიექცეს დიდი ყურადღება. მარტო არჩევნებით კი არ უნდა დავკმაყოფილდეთ, არამედ დადებითი პარტიული მუშაობა უნდა გაჩაღდესო.

აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ კრებამ მიიღო შემდეგი რეზოლიუცია: პარტიულმა კრებამ მოისმინა რა დროებითი კომიტეტის მოხსენება სცნო მისი მოქმედება დამაკმაყოფილებლათ იმ პირობებში, რომელშიდაც მას უხდებოდა მუშაობა და გადადის მორიგ კითხვაზე.

სასურსათო საკითხის შესახებ ვრცელი მოხსენება გააკეთა ალ. ჯაფარიძემ.

მცირე კამათის შემდეგ კრებამ მიიღო რეზოლიუცია და უსურვა კომიტეტს ჩვეულებრივ ენერგიით განეგძო მუშაობა.

ამხ. გრ. ურატაძემ წაიკითხა მუშა ქალთა ორგანიზაციის მოქმედების შესახებ წერილობითი მოხსენება, რომლიდანაც სჩანდა, რომ ამ მცირე ხნის განმავლობაში დამაკმაყოფილებელ შედეგებისთვის მიუხწევია ჯერ ახალგაზრდა და საქმეში გამოუწრთობელ ორგანიზაციას.

ჯერი მიდგა არჩევნებზე. კრებამ დაადგინა აირჩიონ კომიტეტი 15 წევრისაგან.

აირჩიეს: ვ. სხირტლაძე, ტრ. სალაია, ლონ. გრიგოლია, გრ. ურატაძე, ვ. ქუთათელაძე, ილ. გეგეჭკორი, გრ. გიორგაძე, ლეო რუხაძე, ილ. წიქორიძე, ვ. ნოზაძე, ლ. მოდებაძე ლ. კუპრაშვილი, გ. ტუსკია, ი. მანდარია, ალ. ჯაფარიძე. მათ კანდიდატებათ: გრ. რევიშვილი, აკ. ხვიჩია, ხ. ყენია, მარო ლომინაძე, ლოლა ბიბინეიშვილი.

აირჩიეს აგრეთვე საფინანსო კომისია: ცაცა დარახველიძე, გრ. ლორთქიფანიძე, თამ. ჭეიშვილი, პლ. მოდებაძე, ვანო ნემსაძე, აბ. ფიჩხაძე. სალიტერატურო სექციაში: ამროსი სვანაძე, ნიკ. მგელაძე, ლ. მეძმარიაშვილი და ელ. ბახტაძე.

კრება დასრულდა თავმჯდომარის სიტყვით. კრება დაიშალა ღამის 1 საათზე.

ხად. ბალაჯარა.

6 მაის მოხდა ბალაჯარის რაიონის ს. დ. მ. პარტიის საერთო კრება. გაარჩიეს, შემდეგი კითხვები: საორგანიზაციო კომისიის მოხსენება, რაიონის კოლექტივის მოვალეობა, კოლექტივის არჩევნები. გამოირკვა, რომ წევრთა რიცხვი 300 დე ყოფილა. დაუქირავებიათ ბიუროსთვის ბინა, და მოუწყვიათ სამი ლექცია სხვადასხვა თემაზე. კრებამ გადასწყვიტა დაარსდეს ბალაჯარაში პრაპაგანდისტთა შკოლა და მოაწყოს სისტემატიური ლექციები. შემდეგ არჩეულ იქნა დროებით სარაიონო კოლექტივი, სანამ უფრო ფართო კრება მოხდებოდეს, სადაც არჩეულ იქხება მუდმივი კოლექტივი. დროებით კოლექტივში აირჩიეს: მანრუხოვი, მანჯგალაძე, სვანიძე, კიკნაძე, არუცევი, კომპანეცი, ზელდიზონი და მაჩაბელი. **ძვალ ტყავი.**

პროფესიანალურ კავშირში.

თფილისის დურგალთა კავშირი.

კვირას, 14 მაისს, სახელოსნო გამგეობის დარბაზში მოხდა დურგალთა კრება პროფესიონალური კავშირის დასაარსებლათ ამხანაგი ხელაძის თავმჯდომარეობით. კრებამ განიხილა სახელმძღვანელო წესდება და დაამტკიცა. მეხუთე მუხლი მიიღო შენიშვნით: კავშირის წევრათ მიიღებიან გარდა დღიური მოჯამაგირეებისა ის ნარდათ ანუ ნაჭრათ მომუშავებიც, რომლებიც არ არიან მუდმივი „პოდრაჩიკები" და თითონაც მუშაობენ. წევრი ერთდროულათ იხდის ერთ მანეთს, თვეში ათშაურს. აირჩიეს გამგეობა. ა. დავიდოვი, გ. ლვინიაშვილი, დ. ახატიანი, ვ. ბაბაიანცი, მ. ქათამაძე, ი. ოძელაშვილი, მ. მკერვალიშვილი; მათ კანდიდატებათ: ნ. ჩილაბიანცი, პ. მანუკიანცი, ი. ჯანაშვილი, მ. ტერმარტიროსიანცი.

სარევიზიო კომისიაში აირჩიეს: ოვაკიმ ვართანიანცი, ილ. გელაშვილი, ა. თვალიაშვილი; მათ კანდიდატებათ: ო. ქვათაძე, ლ. მეტრეველი, ვ. ხოჯაიევი. კრებამ დააკანონა 8 საათის სამუშაო დღე. მხოლოდ კვირა უქმის წინ 7 საათი. ამავე კრებაზე გამოსთქვეს სურვილი მიიღონ წევრებათ ვინც კი მოისურვებს ყველა შენობებზე მომუშავენი: დურგალი, კალატოზი, მხატვარი, ფიჩნიკი და სხვა ახალი წევრები.

ქ. კავშირის დაჭრილთა კომიტეტის კრება.

განსახილველი იყო შემდეგი კითხვები: 1) ექიმთა ტეხნიკური, სასურსათო და საოჯახო კომისიები, 2) ახალი ლაზარეთის გახსნა, 3) საერთო ყველა მოსამსახურეების ჯამაგირების მომატება, 4) ევაკუაცია ავათმყოფების, 5) ფურნე და მისი ჰიგიენა და წინანდელი კრების ოქმის დამტკიცება. ეს უკანასკნელი წაკითხვის შემდეგ დამტკიცებული იქნა. შემდეგ შეუდექით არჩევნებს. ექიმთა კომისიაში აირჩიეს შემდეგი პირები: თავმჯდომარეთ ექიმი აგიშევსკი. ექიმი ამხ. მ. მგალობლიშვილი და ამხ. პეტროვი. (სალდათთა საბჭოს წარმომადგენელი). ტეხნიკური კომისიაში: ამხ. გლოტოვი, სოსო ბესელიძე და მუხარინსკი. სასურსათო კომისიაში: ამხ. სეითა რაზმაძე, ამხ. მიხ. კალანდაძე და ამხ. ვარონბერგი. (სალდათთა საბჭო წარმომადგენელია) საოჯახო კომისიაში: ამხანაგი ბროცკი (სალდათთა საბჭ. წარმომადგენელია), სირიტ (კადეტი) და სევ. ხვიჩია. ასე, რომ მთელი შემადგენლობა დაჭრილთა კომიტეტის ახალი პირებისაგან შედგება. ევაკუაციის შესახებ კომიტეტმა დაადგინა: დაიქირაოს 10 ეტლი დღეში ავათმყოფების გადასაყვანათ. ფურნის შესახებ დაადგინა: ტეხნიკურმა კომისიამ გაეცნოს პოდრაჩიკ მიროზოევის ხელშეკრულობას და შემდეგ კრებაზე წარმოუდგინოს. ჯამაგირების გადიდების შესახებ დაავალა პრეზიდიუმს შეიმუშაოს და შემდეგ კრებისთვის წარმოუდგინონ თავიანთი შეხედულობა. მინიმალური ხელფასის შესახებ და ყოველივე საყურადღებო გადაწყვეტილება უნდა იქნეს ყველა ლაზარეთებში დამტკიცების შემდეგ, გაკრული უფრო თვალსაჩინო ადგილზე, რათა ყოველი ჩვენი ე. ი. კომიტეტის მოქმედებას ადევნებდეს თვალს ჩვენი ამორჩეულები. ახალი ლაზარეთი უნდა გაიხსნას ე. წ. „რუსის კლუბში". **ან—შვილი.**

პროვინციის ცხოვრება.

ხ. ჭოპორტი. თითქმის წელიწად ნახევარია, რაც აქ გვეწვია ივან ივანიჩი გრიდნევი: ის შეუდგა სამხედრო სტრატეგიული გზის შეკეთებას. აუარებელი მუშა მოაწყდა, ჩვენც ვიფიქრეთ, ეხლა კი გვეშველა რაკი გზა კარგი გვექნება თფილისში სიარული ურმებით ისე აღარ გაგვიძნელდებოდა. მალე გვაცნო ამ ვაჟბატონმა, რომ თუ მასთან მუშებათ ჩავეწერებოდით სამხედრო სამსახური თავიდან აგვცდებოდა. მართლაც მან ბევრი მუშა მიიზიდა. მაშინ ივან ივანოვიჩმა მათ მოსთხოვა ჯილდოთ შეძლების დაგვარათ ფული, რომელსაც ჩვენებურათ ქრთამს უწოდებენ. ვისაც შეეძლო არც ამის წინააღმდეგი გახდა და რამდენიმე ვაჟბატონმა მას მიართვა ზოგმა 25 მ. და ზოგმა მეტი. რასაკვირველია მათ დიდი პრივილეგია მიანიჭა ივან ივანიჩმა და ჯამაგირებიც მეტი დაუნიშნა, მხოლოდ ამ ჯამაგირებიდანაც თვითონ იღებდა თურმე. მუშაობით კი არც ერთი მათგანი არ მუშაობდა. ამ გვარათ ეს ვაჟბატონი გრიდნევი ორგვარ ბოროტებას ჩადიოდა: ზედ-მეტ ფულებს აძრობდა ხაზინას და ჯიბეში იდებდა და სრულიათ ჯანსაღ მეომრებს ართმევდა ბრძოლის ველს. ყველაფერი ეს ვაცნობეთ დუშეთის კამისარს და იმედი გვაქვს საქმეს გამოიძიებენ და დამნაშავეს ღირსეულათ დასჯიან. **მ. ელიაშვილი.**

ხოფ. ძველა-აკეთი (გურია). 18 მარტს შესდგა ხსენებულ სოფელში კრება ამხ. გრიშა მახარაძის თავმჯდომარეობით. კრების საგანი იყო სახ. სკოლის, სამკითხველოს და კოოპერატიულ სავაჭროს ერთ მოხერხებულ ალაგზე მოწყობა. ამისათვის კრებამ დაადგინა შემდეგი რეზოლიუცია: იქმნას არჩეული კომისია გარეშე სოფლიდან სამი პირთაგან შემდგარი რომლებიც ერთხმათ აირჩია კრებამ: 1) მასწ. არსენ წითლიძე, 2) ილაკრე მგელაძე, 3) გრიგოლ გუგუნავა, რომლებსაც კრებამ დაავალა შემდეგი: გამოენახათ მოხერხებული ალაგი ხსენებულ სოფელში, ზემოხსენებულ კულტურულ დაწესებულებათა ერთათ მოსათავსებლათ. კომისიამ უპირატესობა სიო ჯაყელის ეზოს მიანიჭა.

კრებამ მიიღო და დაადასტურა კომისიის აზრი და აირჩია—საამშენებლო კომისია.

ამხანაგ. მონდობილ. **ვლახა ფ. კობალაძე.**

ხოფ. საგარეჯო. აქ საბჭოს თავმჯდომარეთ ბრძანდება ბ-ნი ბაზიეროვი, რომელიც სულ იმასა ცდილობს, რომ საგარეჯოს გლეხთა საბჭო სრულიათ ჩამოაშოროს რევოლიუციას. სართიჭალის რაიონის ცენტრალურმა საბჭომ ორჯერ მოუწოდა დაესწრებოდნენ საერთო კრებებს საგარეჯოს გლეხთა საბჭოების წარმომადგენლები, მაგრამ ორივეჯერ ბ-ნმა ბაზიეროვმა რაიონის საბჭოს მოწოდება მასხარათ აიგდო და არც ერთი კაცი კრებაზე დასასწრებლათ არ გამოუშვა. არ ვიცით რითი ხელმძღვანელობდნენ საგარეჯოს გლეხთა საბჭოს წევრები, როცა ასე ყურმოჭრილი ყმასავით უჯერებენ ბაზიეროვს?! ნუ თუ შეგნებულ გლეხებს იმდენი არ ესმით, რომ შეიძლება ბაზიეროვმა თეთრი ფქვილი კი მოიტანოს, კოოპერატივში და ბანკში იმუშაოს, მარა გლეხების ინტერესები საერთოთ ვერ დაიცოს!? გლეხთა ინტერესები თხოულობენ შედგენილ იქნას რევოლიუციის მომხრე საბჭოები. უნდა ეძიდონ ბაზიეროვისთანა მალულ მოწინააღმდეგეებს და არასოდეს ასეთ კაცებს გლეხთა საბჭოებში ალაგი არ უნდა ჰქონდეს.

ოც მაისს თფილისში მუშათა და გლეხთა შეერთებული სიეზდია. იქ გასაგზავნი კაცია ასარჩევი. საგარეჯოს გლეხობამ უნდა მიიღოს მონაწილეობა სიეზდზე. **ა. გაცვლილი.**

თელავი. აუარებელი დეზერტირები გამოცხადდენ სამართველოში. მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოების დახმარებით ენერგიულად სწარმოებს დეზერტირების მიღება და გადაგზავნა თავიანთ ნაწილებში. ქალაქში არავითარი დარღვევა წესრიგისა არ არის.

მთელს თელავის მაზრაში დიდის სისწრაფით ხდება მომავალ მუშათა და გლეხთა სიეზდისთვის მზადება. თითქმის ყველა რაიონებში მოხდა არჩევნები, დანარჩენებში ამ ორ დღეში დამთავრდება.

აქ შესდგა ინტერნაციონალურ ქალთა წრე. ამ წრეს აზრათ აქვს საერთოთ გამორკვევა ქალთა საკითხისა დღევანდელ მომენტში. ეს წრე იწვევს 21 მაისისთვის დიდ საჯარო კრებას. რომ კრებას ბევრი ქალები დაესწრონ, წრეს განზრახვა აქვს შესაფერი მოწოდებით მიმართოს ქალებს. მოწოდება დაგზავნილი იქნებიან ყველა სოფლებში. ყრილობაზე გაირჩევა სამი უმთავრესი საკითხი: 1) დღევანდელი მომენტი. 2) ქალის როლი საზოგადოებრივ ცხოვრებაში. 3) მომავალი არჩევნები და ქალის დამოკიდებულება მასთან.

ამასთანავე ამ წრეს განზრახვა აქვს მოაწყოს მთელს მაზრაში ასეთი ყრილობები, აგრეთვე სიღნაღის მაზრაშიაც. რათა ხელი შეუწყოს ქალების ფართოთ ჩარევას საზოგადოებრივ ცხოვრებაში და ძლივს მოპოვებული უფლებებით შეგნებულათ გამოყენებაში.

— 15 მაისს ქ. თელავში აკაკი პაპავამ წაიკითხა ლექცია, აგრარულ საკითხზე. მომხსენებელი ხშირათ იმეორებდა, რომ ის არკვევს აგრარულ საკითხს, როგორც ს.-რ. რუსეთში და სოციალისტ-ფედერალისტი საქართველოში.—ეს უკანასკნელი რაღაც არ ეჭაშნიკათ ზოგიერთ თელაველ ს.-ფედერალისტებს, რადგან მიწის სოციალიზაცია რაღაც ვერ წვდათ გულს საამურათ და ამასთანავე სოციალისტობაც, ისე როგორც ამას მოითხოვს ნამდვილი ამ სიტყვის შინაარსი—ძნელი შესარიგებელია იმ ფედერალისტათვის, რომელნიც მარტო ერთ ეროვნულ საკითხს დასტრიალებენ და მის გარეშე სხვა არა ახსოვთ რა. მომხსენებელს გაცხარებულად გამოეკამათენ ნაციონალ-დემოკრატები.

ილაპარაკა ჩვენმა ამხ. რაფიელ ჩიხლაძემაც, რომელმაც ჩვენი შეხედულება გააცნო საზოგადოებას მოკლეთ და შინაარსიანათ. შემდეგ მომხსენებელმა უპასუხა ოპონენტებს. ხალხი საკმაოთ დაესწრო. **თ. გ.**

გაზეთის სასარგებლოთ.

თფილისი. მივიღეთ ოცი მ. ოჯახ. მოსამს. პრ. კავშირიდან. გამგე წევრი **რაფ.**

თფილისის რკინის გზის კონდუქტორებში შეგროვდა საოლქო კომიტეტის ორგანოების სასარგებლოთ 200 მ. აქედან 100 მ. გადაეცეს „ერთობას", 50 მ. „ფიქარს" და 50 მ. „ბორბას".

ამხ. მონდობილობით **ნესტორ ფარჯანაძე.**

თფილისის მეტალისტებისაგან შემოვიდა „ერთობის" ფონდისათვის 16 მ. „ბორბის" ფონდისათვის 16 მ.

თფილისის სადგურზე საქონლის გადამტანლებმა ადგილობრივ მუშათა საბჭოს სასარგებლოთ მოაგროვა 40 მან., რევოლიუციის მსხვერპლთა სასარგებლოთ პეტროგრადში 30 მ. ეს ფული გადაეცა დანიშნულებისამებრ.

სპარსეთი. გიგზავნით ორას სამოცდა რვა მანეთს. ამ ფულიდან გთხოვთ გადასცეთ ხუთი თუმანი „ფაიქარის" რედაქციას, შვიდი თუმანი პოლიტიკურების სასარგებლოთ. დანარჩენი 148 მ. „ერთობის" ფონდის გასაძლიერებლათ. **გ. ურუშაძე.**

ჩვენ სოფ. ბუნიკაურში (შორაპნის მაზრა) მცხოვრებმა მოსწავლე ახალგაზრდობამ გავმართეთ ექვს მაისს წარმოდგენა, რომლის შემოსავალი იყო 15 მ. ეს მცირე შემოსავალი გადავდევით ორი გაზეთის „ერთობა" და „შრომა"-ს ფონდისათვის. ამასთანავე გაახლებთ 7 მ. 50 გაზეთ „ერთობის" ფონდის გასაძლიერებლათ.

სოფ. ბუნიკაურის ახალგაზრდათა მონდობილობით **გიორგი იასონის ძე ბარათაშვილი.**

გიგზავნით ურთიერთ შორის შეკრებილ ფულს 62 მ. 20 კ. გთხოვთ ეს ფული გაანაწილოთ მუშათა რედაქციებს შორის.

ამხანაგების მონდობილობით **კირილე ალექსის ძე თაბაგარი.**

22 აპრილს ჭიათურის ს. დ. კომიტეტის ხელმძღვანელობით გაიმართა ჭიათურასა და მის რაიონში კრებები. აქ პარტიულ პრესის სასარგებლოთ შეგროვდა 1100 მან. 60 კაპ. ეს ფული ასე იქნა განაწილებული: 50 პროც. (550 მ. 30 კ.) საოლქო კომიტეტს პარტიულ სტამბისათვის, გაზეთს „ერთობას" 15 პროც. (165 მ. 9 კ), „ბორბა" 10 პროც. (110 მან. 6 კ.), „ფაიქარს" 15 პროც. (165 მ. 9 კ.) და ქუთაისის გაზ. „სოციალდემოკრატს" 10 პრ. (110 მ. 6 კ.). აღნიშნული თანხა (1100 მან. 60 კ.) 110 მ. 6 კ. გამოკლებით, ე. ი. 990 მ. 54 კ. გეგზავნებათ დანიშნულებისამებრ გასანაწილებლათ.

ჭიათურის სოც.-დემ. კომიტეტი.

გიგზავნით „ერთობის" ფონდის გასაძლიერებლათ ჩვენს წვლილს 22 მ. 20 კ.

ამხ. მონდობილობით **გ. შალამბერიძე.**

ოჩამჩირის ამხანაგებ შორის შეგროვდა 66 მან. და 50 კაპ. 26 მან. გადასაცემათ გაზეთ „ბორბას", 20 მან. „ერთობას", 20 მან. „ფაიქარს"

ოჩამჩ. ს.-დ. კომ. მინდ. მდ. **ვ. ყორყოლიანი.**

ნიგოითი. გიგზავნით ოცდა ცამეტ მანეთს (33 მ.) გაზეთ „ერთობის" ფონდის გასაძლიერებლად.

პატივისცემით **დ. ფირცხალაიშვილი.**

პრ. დოლიძემ 3 მან. შემოიტანა გაზეთის „ერთობის" ფონდისთვის.

გიგზავნით 15 მან. ჩემის ბიძაშვილის თეკლე კეჭელმაძის ხსოვნის აღსანიშნავათ. აქედან გთხოვთ წლის ბოლომდე გაზეთი გაუწეროთ სოფ. ორბეთის სამკითხველოს და დანარჩენი თანასწორათ გაუნაწილოთ „ერთობას" და „ფაიქარს".

პატივისცემით **ტაინო ჭედია.**

გრიგოლ ბაკურიამ ორი თვით გაზეთი გაუწერა ჯარისკაცებს თათრის ფრონტზე.

ხად. ბარგუშეთის მოსამსახურეებში და ნაცნობებში შევაგროვეთ 24 მან და 70 კაპ. აქედან გთხოვთ სამ-სამი თვით გაზეთი გაუწეროთ ჯარის კაცთ ბრძოლის ველზე, გერმანიის ფრონტზე და კავკასიის ფრონტზე. დანარჩენი გთხოვთ მოახმაროთ ჩვენი დამცველი ორგანოს „ერთობის" ფონდს.

ამხ. მონდ. ე. ა. თაბაგარი და ი. ი. ჯოჯუა.

„ერთობის" ფონდისთვის მივიღეთ ყარამან ცეცხლაძისაგან მისი შვილის მიხაკოს ხსოვნის აღსანიშნავათ 50 მან.

„ერთობის" ფონდისთვის მივიღეთ მაქსიმელ გოლიაძისაგან მისი შვილის პორუჩიკი ვლადიმერ გოლიაძის ხსოვნის აღსანიშნავათ 30 მანეთი.

სონა შარაშენიძემ ამხანაგ მიხაკო ცეცხლაძის ხსოვნის აღსანიშნავათ სამ-სამი თვით ორი ცალი „ერთობა" და ერთი ცალი „ბორბა" გაუწერა იმ პოლკის ჯარის კაცებს, სადაც მსახურობდა განსვენებული.

წერილები რედაქციის მიმართ.

მადლობას ვუცხადებთ იმ პირთ, ვინც კეთილ ინებეს და ტრაღიკულად გარდაცვლებული (სათათ. ფრონტ.) ქართველთა მსროლელ პოლკის პრაპ. ივანე ა. დუმბაძის ხსოვნის აღსანიშნავათ შემოსწირეს: შემოქმედის უმაღლეს პირველ დაწყებითი სასწავლებელს 56 მან. მე 6 როტის, ქართ. პოლკ., აფიცრებმა და სალდათებმა.

შემოქმედის ორკლასიან სასწავლებელს 50 მანეთი ქართ. პოლკ. მე 13-ე როტის აფიცრებმა და სალდათებმა შემოსწირეს. განსვენებულ ივანე ა. დუმბაძის ოჯახმა—ხსენებულ სასწავლებლებს შემოსწირა 100 მ. შემოქმედის ორგანიზაციამ რ. ს. დ. მ. პ—სა ერთგული ამხანაგი პრაპორშიკ ივანე ა. დუმბაძის ხსოვნის აღსანიშნავად გაუწერა 4 გაზეთი „ერთობა" მე 6 და მე 13-ე როტებს ქართველთა მსროლელ პოლკის—სამ-სამი თვით. ზემოაღნიშნული ფულები უკვე ჩაბარდა ხსენებულ დაწესებულებების მოლარეებს.

მონდ. მასწ. **კოლია ჩხატარაშვილი.**

ამას წინეთ ს. სხვიტორში, აკაკი წერეთლის სოფელში ცეცხლმა ისხვერპლა ათი მოსახლის კირვალიძეების სახლკარი. მათ დასახმარებლათ ქორეთის საზოგადოებაში მოიკრიბა ფული, რისთვისაც ღრმეს მადლობას ვწირავთ ყველა შემომწირველთ.

სულ მთელი ქორეთის საზოგადოებიდან 146 მ. 10 კ. ეს ფული გადაეცა დ. ხაჩხერეში მ. ნიკურაძეს, როგორც სარაიონო კომიტეტის თავმჯდომარეს გასანაწილებლად.

ქორეთის ადმ. კომიტ. წევრი **გრ. ჭიჭინაძე.**

მადლობას უცხადებთ დათიკო საყვარელიძეს, რომელშიც 5 მან. შემოსწირა ჩვენ კავშირს.

თფ. მკერავთა კავშირის გამგეობა.

მადლობას უცხადებთ ყველა იმ პირთ, რომელთაც მონაწილეობა მიიღეს ქ. ოზურგეთში 24 აპრილს გამართულ საღამოში, რომელიც გაიმართა ადგილობრივ პროგიმნაზიის სასარგებლოთ. შემოვიდა 1183 მ. ხარჯი 227 მ. 65 კ. დარჩა 955—35 კ.

ოზურ. პროგ. მასწავლებელნი: **ა. მგელაძე, ე. ორაგველიძე.**

მადლობას უცხადებთ იმ პირთ, რომელთაც კეთილ ინებეს და დახმარება აღმოუჩინეს ებალაურის უფასო წ. ს. სამკითხველოს.

სამკითხველოს გამგეობის წევრი მასწ. **მ. ღლონტი.**

ცნობები

ჯარის კაცების შესახებ.

მათე ილარიონის ძე მახარაძე მსახურობ 151 ევაკუაციონ პუნქტში მეორე ატრიადში, ვინც იცით სად იმყოფება გთხოვთ აცნობ ს. გომლეთში კოოპერატივში ილარიონ დორეს ძე მახარაძეს.

— ჯარისკაცი კოსტანტინე ევანეს ძე ქავტაძე. მსახურობდა კავკასიის ჯარში მსროლელთა პოლკში მე 10 როტაში. გთხოვთ თუ რაიმე იცით გვაცნობოთ შემდეგი მისამართით: **Кавк. д. армія 24-й Кавк. стрел. полкъ 10-го рота. Несторъ Петров. Чантурія.**

— ივანე ნიტიფორეს ძე გვიბირიძე მსახურებდა ქ. კაზანში მეორე ზაპასნი არტილერიის ბრიგადაში, მეორე დივიზიაში, მეექვსე ბატარეიაში, მეოთხე ზვოდში. რადგან დიდი ხანია მის შესახებ არაფერი ვიცით, გთხოვთ თუ ვინმემ რამე იცის გვაცნობოთ ქ. ოზურგეთში—ნაგომარი დათა გოგიბერიძეს გადასაცემათ ნიტიფორე გვიბირიძეს.

ჩვენი ფოსტა.

ამხ. ბარამიძეს. რომელიც 21 ამ თვეს აზრუმში მიემგზავრები, დაუყონებლივ შემოიარეთ ს. დემ. ბიუროში, გოლოვინის პრ. 12.

რ. ს. დემ. მ. პ. თფილ. კომიტეტი. **ზუგდიდი, ხოფ. ქოქი. უჩალაიას.** ფასდადებით წიგნები არავის ეგზავნება.

რედ.-გამომცემელი მღ. მ. ბოხოხაძე.

ზ. ბ. მეჩრაგიანი
შინაგან ავათმყოფობა ქლექისა და გულის იღებს ახალ რენდგენის ელექტრო-წამლობის კაბინეტში გახსნილა და წამლობა ხსვ-ზით, ყველანაირ ქლექის წამლობა და ელექტრონით წამლობა: თავისტკივილების, —ქიმიით, დიდი სალინიოდი ხსეციალური ... და არხონვალის ტოკით თა ფილტვების ავადმყოფობისთვის, გულისთვის, არტერიოსკლეროზისთვის და აგრეთვე მაგარის ეპენის, სისხლ ნაკლებობის, უძილობის, ნევრალგიისთვის. ხირურგიული ტვინის ავათმყოფობისთვის, მუხლის, და რევმატიზმისთვის. ყოველ დღე 9—1 ს-მდე და საღამოს 5—7ს-მდე. მისამართი: ბებუთოვის ქუჩა № 23. ტელეფონი 7—92.

სტუდენტი პეტროგრადის უნივერსიტეტის
(ყოფილი მასწავლებელი)
ამზადებს ყველა უწყების პირველ-დაწყებითი, დაბალი და საშუალო სკოლებისთვის, აგრეთვე სხვადასხვა ხარისხი და წოდებაზე. ვერა, ყაზბეგის ქუჩა, № 5.

ექიმი ივანე თიკანაძე
დაბრუნდა და განაახლა ავათმყოფების მიღება საღამოს 5—7 საათამდე. მისამართი კიროჩნის ქუჩა, 18, ტელეფონი № 11—82.

ექიმი მ. გ. ვეფხვაძე
ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 ნახ. საათამდე, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზინბდის ქუჩა, № 19.

ექიმი გ. მ. მუხაძე
იღებს სადოსტაქრო ავათმყოფთ საღამოს 5—6 საათამდე კვირა დღის გარდა, მისამართი: დიდი შთავრის ქუჩა № 67; ოფიცერთა ეკონომიური საზ. შენობის პირდაპირ, სახ. ს...ზეილისა. ტელეფონი № 5—77.

ექიმი კ ი გვარჯალაძე
შინაგან და ბავშვთა სნეულებიანი
ავათმყოფებს მიიღებს ყოველდღე საღამოს 6—7 ს., კვირა დღის გარდა. ქვენიევის ქუჩა, № 4, სასტუმრო ვეტცელის გვერდით. ტელეფ. 15—00.

ქ. ქუთაისში.
ექიმი მ. ი. ჩხენკელი
იღებს ბავშვთა და შინაგანი სნეულებით ავათმყოფს ყოველ დღე, დილის 9 საათიდან—1 საათ. საღამოს 5—8 საათ. ქუთაისი ბალახვანის ქ., ბაქრაძის სახლი.

ქუთაისი
ექიმ გ. ი. გოკიელის
ელექტრონისა და სინათლის სამკურნალო კაბინეტი, შინაგანი ნერვებისა და ვენერიული ავათმყოფთათვის, ავათმყოფნი მიიღებიან დილის 9—12 საათ. და სა 6—8 ღ. საათამდე

Съ 4-го мая въ г. Тифлисѣ выходитъ ежедневная газета на русск. языкѣ

БОРЬБА

Органъ Закавк. Областнаго и Тифлисскаго Комитетовъ Россійской Соц.-демократической Рабочей Партіи.

Подписка какъ городская, такъ и иногородная принимается въ конторѣ „Ганатлеба" (Ольгинская № 6). Деньги для подписки адресовать: Тифлисъ, почт. ящ. 96 Сильвестру Ремановичу Таварткиладзе.

Корреспонденціи и статьи направлять по адресу: Тифлисъ, Головинскій пр. № 12 для редакціи «Борьба».

Подписная цѣна на годъ 15 р., на 6 мѣс. 8 р., 3 м. 4 руб. 20 к., 1 мѣс. 1 р. 40 к.

სწრაფლ-მბეჭდავი სტამბა ვ. რუხაძისა გაზეთის შესახვევი № 1